ნომერში:

სპეციალური ლექსი	3
ნამღვილი ამბები მამისა ლოთიქიფანიძისგან	4-7
უსტატური დევნილები	7-8
განხეთქილება მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიებს შორის	9-12
„იენა - თბილისის კლასიკოსები"	13-14
ოთმაგი ხარისხის ეთნობლივი სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში	14-15
„თამარ I"-ის ჩამოცვენილი ანნივები	16-22
გეიმანიის ქართული სათვისტომოს აჩრევნები	23
შტუტგარტის ქართული საკვირაო სკოლის საახალწლო ზეიმის ფოტო-რეპორტაჟი	24
„ქართველებს ტყვიის სროლაში წარმატების მისალწევად მებრძოლი სული შველით" - ინტერვიუ ნინო სალუქვაძესთან	25-27
გიორგი მაჩაბელი - სუნამოების პრინცი	28-31
„მხოლოდ ნიჭით გაკეთებული საქმე იღუზიაა" ინტერვიუ გიორგი კეკელიძესთან	32-33
გასართობი გვერდი	34

ყაბალანის ფოტოს ავტორი: ვახტანგ ბერიძე

ფოტოზეა: ცბერის ყაბალელ მოთვამანეველოზის სახელობის მაძაია მონასტერი

წვიმიანი ღამე

სანამ ამ ჩაკრულებიან იმერეთის ოდები,
ყოველ ახალ წელიწადს მაინად მომეგონდები.
ფოთი ეზიდან მოსული, მაძა-ჰაპის ჯილავი –
უცხოდ ეანათებული, ჰაცაპა ჩიჩილავი.
უცხოდ ეანათებული, სხვაზე ამ ეასაცვალი:
ძნგანე სუფოს ფოთოლი, ყუფაანცელას მაოცვალი.
უზაფმაზაფ ოდაში მუხის ცეცხლი ეუკუნებს,
ბავშვი, ეაოცებული, მხოლოდ ფენ ფემოეყუფებ.
დეანაფ დაძმენებული ქამაფ-ხანჯალ-უანიმით,
ოთეოფც თეთფხოხიანი იმერული უმანგილი.
ფოჩიანი ყანფეცეს ზედ ეასხია მაესებად,
ალბათ, ცაში თუ მოხდა ფენი ეალაძაზებბა!
უზაფმაზაფ ოდაში მუხის ცეცხლი ჩახჩახებს,
ძველი „მოვალეობიერ" ალებს ყველა ეასალებს.
სულაც ვერ ეაძიეია, ოა ძახაფებს, ოალ ვერი
ანე თვალეაუფუყვნელი, სიხაფულით თვალსვერი,
მხოლოდ ფენ ფემოცყერი, ფენი ფუკის მჯერა მე,
ფოთი ეზიდან მოსული, ვაფსკვლავერის მცენაფევ!
სანამ ამ ჩაკრებიან იმერეთის ოდები,
ყოველ ახალ წელიწადს მაინად მომეგონდები!

ლადო ასათიანი

ნამდვილი ამბები მარიამ ლორთქიფანიძისგან

მარიამ ლორთქიფანიძე - ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ათი წიგნი (მონოგრაფიები, დამხმარე სახელმძღვანელოები, საშუალო სკოლის VIII კლასის ისტორიის სახელმძღვანელო). რუსულად თარგმნა ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები - „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. 1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა (ABI) მიანიჭა „მეორე ათასწლეულის ღირსების მედალი 2000“.

ღვაწლმოსილი პროფესორი ივანე ჯავახიშვილთან პირველ შეხვედრას იხსენებს, ყვება, როგორ იწერებოდა საბჭოთა პერიოდში საქართველოს ისტორია და იმ სიძნელეებზეც საუბრობს, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები აწყდებოდნენ.

პროვოკაცია ჯავახიშვილის ლექციაზე

უნივერსიტეტში 1939 წლის პირველ სექტემბერს მივედი. ისტორიის ფაკულტეტზე ამ წელს პირველად გამოცხადდა მიღება ცალკე ხელოვნების ისტორიის სპეციალობით. ჩაბარება უახლოეს მეგობრებთან, გივი კიღურაძესთან (ის ევროპის ისტორიის კათედრის გამგე იყო წლების განმავლობაში), ოთარ ჯაფარიძესა (ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქეოლოგი) და კიდევ სამ მეგობართან ერთად გადავწყვიტე.

ოჯახში ყველას გაგონილი გვქონდა ივანე ჯავახიშვილის სახელი. ლექციების ცხრილში მისი გვარის ძებნა პირველ სექტემბერსვე დავიწყეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. მაშინ ივანე ჯავახიშვილი ისტორიის ფაკულტეტზე ლექციების კითხვას მესამე კურსიდან, სპეციალურ ჯგუფებში იწყებდა. შემდეგ გამოვარკვიეთ, რომ ქართული სამართლის ისტორიის კურსს კითხულობდა იურისტებთან და მოვინდომეთ მის ლექციებზე დასწრება. ნებართვაც მივიღეთ.

შემობრძანდებოდა ბატონი ივანე დიდი შავი პორტფელით ხელში, ამოიღებდა ბარათებს, რომელზეც წყაროებიდან ციტატები ჰქონდა ამოღებული და შემდეგ დაიწყებდა ლექციის კითხვას. ჯერ ჩამოაყალიბებდა დებულებას, შემდეგ წაიკითხავდა ბარათებზე ამონაწერებს ბაგრატის, ვახტანგისა და სხვათა სამართლიდან. ან პირიქით, ჯერ წაიკითხავდა ამონაწერებს ძეგლებიდან და შემდეგ ჩამოაყალიბებდა დებულებას.

სამართლის ისტორიაში ჩვენ არავითარი მომზადება არ გვქონია და ზოგი რამის გაგება გვიჭირდა, მაგრამ ლექციები იმდენად საინტერესო იყო, რომ გატრუნული ვუსმენდით. ლექციის ბოლოს ყოველთვის მოიტოვებდა რამდენიმე წუთს შეკითხვების წერილობით მისაღებად. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები საინტერესო შეკითხვებს უგზავნიდნენ. ბატონი ივანეც პასუხობდა და დიალოგი შესვენებაზეც გრძელდებოდა.

ერთ მშვენიერ დღესაც მოუვიდა შეკითხვა. ახლაც ვხედავ იმ ფურცელს... ბატონი ივანე კითხულობს ხმამაღლა: სტალინური მოძღვრების თანახმად, ქართველები ერად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდნენ, თქვენ კი საიდან იწყებთ მის ისტორიას?

წარმოგიდგენიათ, სამარისებური სიჩუმე აუდიტორიაში! ბატონმა ივანემ ეს ფურცელი წვრილ-წვრილად დახია, სამელნის ჩასადებში ჩაყარა, აკრიფა თავისი ბარათები, ჩააწყო პორტფელში და უხმოდ გავიდა.

ავტეხეთ ჩურჩული, რა მოხდა, როგორ მოხდა. მე ვკაპასობდი იმაზე, თუ რატომ არ გასცა პასუხი. ბიჭები კატეგორიულად მიმტკიცებდნენ, რომ ყველაზე მართებული გადაწყვეტილება მიიღო. მხოლოდ გვიან, წლების შემდეგ მივხვდი, რომ ეს მართლაც ყველაზე მართებული პასუხი იყო.

რა უნდა ეპასუხა, სტალინის კრიტიკას ხომ არ დაიწყებდა. არა, 39 წელია, ხალხო!

ამ ლექციის შემდეგ არ გვშორდებოდა ფიქრი - გააგდებენ უნივერსიტეტიდან? მაგრამ ივანე ჯავახიშვილი 1930 და 1936 წლების შემდეგ, სრულად

რეაბილიტირებული იყო და თან მეტად მაღალ დონეზე. უზენაესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გახლდათ.

სიმართლე გითხრათ, დღემდე ვერ ამიხსნია, მისდამი საბჭოთა ხელისუფლების ასეთი შემობრუნება რამ განაპირობა. ოჯახში კი მომისმენია აზრი, იყო ასეთი, ალექსანდრე სვანიძე. სტალინის პირველი მეუღლის ძმა. მეტად განათლებული ადამიანი, მაღალი დონის ისტორიკოსი, რომელიც ამ დროს კრემლში სტალინთან ცხოვრობდა. ამბობდნენ, რომ ივანე ჯავახიშვილის მდგომარეობის შეცვლაში სწორედ სვანიძემ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი.

ამის შემდეგ ჩვენ ივანე ჯავახიშვილს აღარ შევხვედრივართ, რადგან მალევე გარდაიცვალა.

საქართველოს ცეკა და ქართულ-სომხური დავა მცხეთის ჯვრის გარშემო

თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების სათავეებთან უშუალოდ ივანე ჯავახიშვილის მოწაფეები იდგნენ. მათ შორის სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი და ლევან მუსხელიშვილი. სამწუხაროდ, ლევან მუსხელიშვილი ადრე გარდაიცვალა.

მაშინ ძალიან ჭირდა ისტორიაში და საკუთრივ საქართველოს ისტორიაში მუშაობა. თუმცა ივანე ჯავახიშვილის სკოლამ მოახერხა, რომ უმძიმესი კომუნისტური ზეწოლის პირობებშიც, ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში, ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის გაყალბება არ მომხდარა.

იმის მიუხედავად, რომ თავის დროზე სტალინის, შემდეგ კი მარქსის, ენგელსისა და ლენინის შრომები ყველგან იყო მითითებული, ეს მითითებები ფაქტობრივად იყო გარნირი ნაშრომის გასასვლელად. ეს დიდი დამსახურებაა თვით ივანე ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეებისა, რომელთაც ეს შექმნეს. რთული იყო მუშაობა, მაგრამ იმდენად იყვნენ მომზადებული, რომ შესანიშნავად იცოდნენ, რა მიეწერათ სქოლიოში და რაც მთავარია, შესანიშნავად იცოდნენ საქართველოს ისტორიის ის წყაროები, რომელიც იმ პერიოდისთვის არსებობდა.

შემდეგ თავადაც მომიხდა ამ პროცესებში ჩართვა. რომ გითხრათ, ძალიან რთული იყო-მეთქი, არ ვიქნები მართალი. მაგრამ რთული ნამდვილად იყო. რამე დებულებას რომ დავამუშავებდით, მერე ვეძებდით შესაფერის მონაკვეთებს სქოლიოში მისათითებლად.

რთული იყო ჩვენს მეზობლებთან, განსაკუთრებით, სომხებთან ურთიერთობა. მახსოვს, დამიძახა გიორგი წერეთელმა (მაშინ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ვმუშაობდი, გიორგი წერეთელი კი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო). მივედი, ხელში უჭირავს წიგნი და მეუბნება, ეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ჟურნალია, წაიღებთ ახლა ამ ჟურნალს, აქ არის პარუირ მურადიანის სტატია, რომელშიც საუბარია, რომ მცხეთის ჯვარი სომხების აშენებულია და ათ დღეში თქვენი, ისტორიკოსის პოზიციიდან დაწერთ, რისი დაწერაც შეგიძლიათ, დაწერთ რუსულად, ოღონდ არავინ უნდა იცოდეს, რომ თქვენ ამას წერთ და მე მომიტანთო.

ვათენე, ვაღამე, დავწერე და მივუტანე ბატონ გიორგის. დაბრძანდითო, მითხრა და კითხვა დაიწყო. ვნერვიულობ, მაგრამ არაფერს მეუბნება. წაიკითხა, აიღო ტელეფონი, დაურეკა გიორგი ჩუბინაშვილს და ეუბნება: გიორგი ნიკალაევიჩ, მარიკას სტატია წავიკითხე, ვფიქრობ, დაბეჭდვა შეიძლება და ახლა ის თავად მოგიტანთ ამ სტატიას და თქვენს ვერდიქტს დაველოდები.

ერთი მხრივ, შვებით ამოვისუნთქე, თუმცა უფრო მეტად ავღელდი, რადგან მაგზავნის გიორგი ჩუბინაშვილთან, რომელსაც ორი ტომი აქვს დაწერილი ჯვრის მონასტერზე.

მანაც ერთადერთი ის მითხრა, დაჯექიო და კითხვა დაიწყო.

არავითარი რეაქცია, გული მისკდება, ისევ საშინლად ვნერვიულობ. დაასრულა კითხვა, აიღო ტელეფონი და ურეკავს გიორგი წერეთელს: გიორგი ვასილევიჩ, წავიკითხე მარიკას სტატია და შეიძლება, რომ დაიბეჭდოს.

იცი, რა დამემართა? დავავლე ხელი ჩემს სტატიას და არც დავმშვიდობებივარ, ისე წავედი წერეთელთან. გიორგი წერეთელმა სტატია დაიტოვა და მითხრა, ამ თემაზე არავისთან არაფერს იტყვიო.

გამოხდა ხანი და მირეკავს შოთა შენგელია, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი და დიდი პატრიოტი. დამიბარა, მომცა კორექტურა ჩემი სტატიის, მითხრა, ჩემს ოთახში ჩაგკეტავ, ვიდრე კორექტურას დაასრულებ და არავინ უნდა იცოდეს სტატიის შესახებო.

ინფორმაციამ მაინც გაჟონა და სათანადო ორგანოებს შეატყობინეს.

ამ ამბის გაგრძელება მოგვიანებით ისევ გიორგი წერეთლისგან შევიტყვე.

ჩემს სტატიასთან ერთად ამნომერში იბეჭდებოდა ილია აბულაძის სტატია მცხეთის ჯვრის წარწერასთან დაკავშირებით, რომელსაც ეყრდნობოდა მურადიანი. ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიურ დარგში იმჟამად დევი სტურუა იყო. გამოიძახა გიორგი წერეთელი და უკვე აწყობილი ჟურნალიდან ჩემი და აბულაძის სტატიის ამოღება მოსთხოვა. გიორგი წერეთელს უთქვამს, რომ მან თავად დაუკვეთა

ილია აბულაძეს ეს სტატია და ვერ ამოიღებდა. მით უმეტეს, რომ აბულაძე სტატიის გამოქვეყნებამდე გარდაიცვალა. მაშინ სტურუას უთხოვია, აბულაძის სტატია დატოვეთ და ლორთქიფანიძის ამოიღეთო. გიორგი წერეთელს განუმარტავს, რომ ეს ორი სტატია ავსებდა ერთმანეთს.

გიორგი წერეთელმა საკუთარი პოზიციის გატანა შეძლო, თუმცა ამის გამო მისთვის დიდი მადლობა არ უთქვამთ.

იმავე წელს გახლდით პარიზში და ვნახე გამოცემა „რევიუ დე არმენოლოჟი“ სადაც მურადიანის იგივე სტატია ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა.

რაც შეეხება საქართველოს XIX-XX საუკუნის ისტორიას, ეს არ იყო ისტორია, ეს იყო პოლიტიკა და მორჩა. მართალია, იმ პერიოდის სპეციალისტები ცდილობდნენ, სიმართლეც ეთქვათ, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ეს იყო პოლიტიკა!

როგორ ცდილობდა კრემლი საქართველოს რუსიფიკაციას

1970-იანი წლების შუა ხანებია. საბჭოთა კავშირში, უმაღლესი განათლების ეროვნულ ენაზე მიღება მხოლოდ თბილისისა და ერევნის უნივერსიტეტებშია შესაძლებელი. ეროვნული ისტორიის კათედრებიც კი იშვიათობას წარმოადგენს. სხვადასხვა შეკრებისას, მაგალითად კიევის უნივერსიტეტის თანამშრომლები არ იჯერებენ, რომ ლექციები ქართულად იკითხება.

გაზაფხულის პირია და მომავალი წლის სალექციო კურსს ადაგებენ ვადგენთ. უნივერსიტეტის რექტორი გახლავთ დავით ჩხიკვიშვილი. მოდის ჩემთან უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის გამგე მარიკა პირველი და მეუბნება, რექტორმა შემოგითვალა გაითვალისწინო, რომ მომავალ წელს, ერთი-ორი საგანი რუსულად წაიკითხოო. უეცრად ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა და ვუპასუხე, რომ ჩვენ რუსულ ფილოლოგიურზე, ჟურნალისტიკის რუსულ განყოფილებაზე ისედაც რუსულად ვკითხულობდით საქართველოს ისტორიას. მან მიპასუხა, რომ ეს თხოვნა არა რუსულ, არამედ ქართულ ფაკულტეტებს შეეხებოდა.

მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე და ვუპასუხე, რომ თავად დაველაპარაკებოდი რექტორს. მარიკამ კი მითხრა, რექტორმა გამაფრთხილა, ჩემთან არავინ მოვიდესო.

მაინც ჩავედი დავით ჩხიკვიშვილთან. კარგი ურთიერთობა მქონდა მასთან, ერთი თაობისანი ვიყავით. ვეკითხები, დათიკო, რა მოიგონე ეს-მეთქი. მიპასუხა, მე კი არ მოვიგონე, წერილობითი ბრძანება მივიღე და ეს უნდა გავაკეთოთო და ბრძანების ძებნა უჯრაში დაიწყო.

მეც შესანიშნავად ვიცი და მანაც, რომ ასეთ ბრძანებებს წერილობით მოსკოვი კი არა, ჩვენი ცენტრალური კომიტეტიც არ იძლევა. ვუთხარი, ტყუილად ნუ ეძებ ბრძანებას, რაც გინდა ქენი, ის ბრძანება რომც არსებობდეს, ვიდრე მე კათედრის გამგე ვიქნები, ამას არ დავუშვებ-მეთქი.

დაიწყო ყვირილი და მაგიდაზე მუშტების ბრახუნი. გამიკვირდა, არ გვქონდა ასეთი ურთიერთობა. მეც ველარ შევიკავე თავი, ხმას ავუწიე და მეც დავაბრახუნე მუშტი მაგიდაზე. მისი კაბინეტიდან რომ გამოვდიოდი, მითხრა, შენც გაგაგდებენ აქედან და მეცო.

როცა მისაღებში გამოვედი, მაშინ მივხვდი, რატომ აყვირდა. მისაღებში იჯდა კაცი, რომელსაც უნდა გაეგონა, რა ხდება და მიეტანა ამბავი იქ, სადაც ჯერ არს.

უნივერსიტეტი ფეხზე დადგა. ლექციების რუსულად წაკითხვაზე გივი ჟორდანიამ უარი განაცხადა. უარი განაცხადა ასევე ეკონომიკის ისტორიის კათედრის გამგე ვასილ ჩანტლაძემ, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა გოგი ფუთურიძემ.

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი მზია ლეკვეიშვილი მაშინ სულ ახალგაზრდა იყო. მეორე კორპუსის ფოიეში აქცია მოაწყო. ჩვენ ახლა აქცია არაფრად მიგვაჩნია, მაგრამ მაშინ სიტყვა აქციის თქმის კი არა, გაგონებისა გვეშინოდა.

ფეხზე დადგა სტუდენტობა. მოსინჯეს ნიადაგი ამ ცვლილებების გასატარებლად, მაგრამ ვეღარ გაატარეს. ნახეს, რომ ამ გზით არაფერი გამოვიდოდა.

მეორე ეტაპი იყო ამ ბრძოლისა, როდესაც ახალ კონსტიტუციაზე დაიწყო მუშაობა. ჩვენს კონსტიტუციაში მაშინ ეწერა, რომ ქართული ენა არის სახელმწიფო ენა. ერთ მშვენიერ დღეს, გამოდის ტელევიზიით ედუარდ შევარდნაძე და ამბობს, რომ უნდა ვიმუშაოთ კონსტიტუციის ახალ პროექტზე, ზოგიერთი რამ იცვლება და მათ შორის ეს მუხლი უნდა იყოს ამოღებულიო.

თქვენს მტერს, იმისთანა ამბავი ატყდა. მთელი უნივერსიტეტი ფეხზე დადგა და უნივერსიტეტიდან წავიდა იმპულსები საზოგადოებაში. რა მოხდა შემდეგ, ყველას კარგად მოეხსენება.

ჩემი კაბინეტი დავით ჩხიკვიშვილის კაბინეტის თავზე იყო. 12 აპრილს მირეკავს და მის კაბინეტში ჩასვლას მთხოვს. არ მინდა ჩასვლა. თანაც უნივერსიტეტი სავსეა სტუდენტებით. მითხრა, მოინდომე ჩამოსვლა და გამოგატარებენო. ჩავედი და მეუბნება, მე და შენ უნდა გავიდეთ ბავშვებთან და დაველაპარაკოთო. ვკითხე, რა ვუთხრათ-მეთქი. მიპასუხა, მოვიფიქროთო.

გავედით. ხელები ჩავჭიდეთ ერთმანეთს და...

ორივეს გვიკანკალებს ხელები. გვეშინია, ხალხო! ორივემ ვიცით, საქმე მარტივად არ არის.

შვილებო! - მიმართა მან სტუდენტებს, - თქვენ არ იცით, ვისთან გაქვთ საქმე. მე და თქვენმა პროფესორმა, მარიამ ლორთქიფანიძემ კი ვიცით. დაფიქრდით და ფრთხილად მოიქეცით. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ყველა ქუჩაზე, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე ჩამოდის, სამხედრო ტექნიკა უკვე განალაგეს. ანუ ფუნქციონერი, უნივერსიტეტის რექტორი ეუბნება, რომ ფრთხილად მოიქცნენ. ჩვენ გვაქვს 1956 წლის გამოცდილება.

ჩემი ჯერია, სტუდენტებს რამე მეც უნდა ვუთხრა, მაგრამ რა. ვუთხრა წადით და რამე რომ მოხდეს, როგორ უნდა ვიცხოვრო მერე. იმას კი, რომ არ წავიდნენ, ვერ ვეტყვი. ვიცი, რომ თითოეულს ჯიბეში უდევს პასპორტი ან სტუდენტის მოწმობა. ყველამ იცის, რაზე მიდის. ეს არ არის მათი სპონტანური გადაწყვეტილება, არამედ შეგნებული არჩევანი. იციან, რომ ეს ნაბიჯი შესაძლოა სიცოცხლის ფასად დაუჯდეთ.

ამას წინათ, ერთ რუსულ გადაცემაში მკითხეს, რატომ მოხდა, რომ 70-იან წლებში მხოლოდ საქართველომ აღიმაღლა ხმა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის შესანარჩუნებლადო. მხოლოდ ამ კითხვის შემდეგ დავფიქრდი სერიოზულად ამ კითხვაზე და ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ გამუდმებით ვიბრძოდით საკუთარი მეობის დასაცავად და ქართულმა ენამ ამ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა.

ნინო ჯაფარიძე

უსტატუსო დევნილები

2008 წლის ომიდან სამი წელი და ხუთი თვეა გასული, თუმცა ადამიანების გარკვეული ნაწილი, რომლებმაც საომარი მოქმედებების გამო მუდმივი საცხოვრებლი მიატოვეს, დღესაც გაურკვეველი მომავლით ცხოვრობენ. ესენი ეგრეთ წოდებული უსტატუსო, ანუ არაოფიციალური დევნილები არიან. ამ კატეგორიის ნაწილი გორში, საბავშვო ბაღების შენობებშია განთავსებული, ნაწილი კი კერძო სექტორში ცხოვრობს. მათი საერთო პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფო მათ დევნილებად არ აღიარებს. კითხვას: რატომ ხდება ეს? – ვრცელი პასუხი აქვს.

პირველი და ყველაზე მთავარი მიზეზი ამისა, პოლიტიკური სარჩულის მატარებელია. უსტატუსო დევნილების უმეტესობა გამოდევნილია ტერიტორიიდან, რომელიც ოკუპირებულად აღიარებული ოფიციალურად არ არის. შესაძლოა ხელისუფლების წარმომადგენლები შიშობენ, რომ თუ ასეთ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ადამიანებს დევნილად ჩათვლის, ეს ახლოსაა აღიარებასთან, რომ მათ საცხოვრებელს საკუთარი იურისდიქციის ქვეშ არ მიიჩნევს.



საქმე იმაშია, რომ 2008 წლის ომის შედეგად ქართველი სამართალდამცავების მიერ უკონტროლოა არა მხოლოდ ის ტერიტორია, რომელზეც პრეტენზიასაც ოსური მხარე აცხადებს ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რუკების მიხედვით, არამედ მიმდებარე ტერიტორიების გარკვეული ნაწილიც. ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლება ამბობს, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ შედის მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ახალგორის რაიონითურთ და სხვა ტერიტორიაზე, რომელიც „მათი არ არის“, ისინი პრეტენზიას არ აცხადებენ.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ზარდიაანთკარი, გუგუტიანთკარის ნაწილი, ერგნეთის ზედა ზონა, ხურვალეთი და სხვა სოფლების განაპირა ტერიტორიები დღესდღეობით უკონტროლოა. იქ მცხოვრები ადამიანები კი დევნილობაში იმყოფებიან, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მათი საცხოვრებელი

სოფელი გუგუტიანთკარი

ოფიციალურად ოკუპირებულად აღიარებული არაა, სახელმწიფო დევნილის სტატუსს არ აძლევს.

შესაბამისად, ამ ადამიანების მომავალი განსახლების გეგმა გამოთიშულია დევნილთა ერთიანი სტრატეგიიდან, რაც გასულ წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა. მათზე პასუხისმგებლობას ვერც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აიღებს, რადგან ეს ადამიანები დევნილები ოფიციალურად არ არიან. არსებული კანონდებლობის თანახმად, მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პრეროგატივაა. შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე ზურაბ ჩხეიძე კი აცხადებს, რომ მათთან მიმართებაში რაიმე გადაწყვეტილება სახელმწიფოს ჯერ არ მიუღია.

სოფელი ზარდიაანთკარი

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას რამდენიმე საქმე აქვს სასამართლოში, სადაც სწორედ ისეთი ადამიანების უფლებების დაცვას ცდილობს, რომლებიც დევნილები მხოლოდ ფაქტობრივად არიან. „ზარდიაანთკარიდან დევნილების საქმე სასამართლოში უსაშველოდ ჭიანურდება. მართალია, საქალაქო სასამართლოშიც მოვიგეთ საქმე და სააპელაციოშიც, მოსამართლეებმა თქვეს, რომ ამ ადამიანებს სტატუსი ცალსახად ეკუთვნით, მაგრამ სამინისტრო საქმეებს ასაჩივრებს. ახლა უზენაეს სასამართლომდე ვართ მისულები, რომელსაც გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია“,– ამბობს ქეთი ბებიაშვილი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის უფროსის მოადგილე.

„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი ლია მუხაშავრია აცხადებს, რომ სტატუსის საკითხის გადაწყვეტის პრობლემა არა მხოლოდ ოკუპირებულად არაღიარებულ

სოფელი ერგნეთი

ტერიტორიებზე მაცხოვრებლებს აქვთ, არამედ მათაც, ვისი უძრავი ქონებაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე განადგურდა. „ჩვენ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში ისეთი ადამიანის ინტერესებს ვიცავთ, რომლებმაც სახლები დაკარგეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საბუთების მიხედვით ჩაწერილები არ იყვნენ ადგილზე, ჩვენმა სახელმწიფომ ისინი დაზარალებულებად არ მიიჩნია,“– ამბობს ლია მუხაშავრია.

სტატუსის მინიჭების საკითხი დევნილებისთვის დღემდე მწვავე პრობლემად რჩება. ხელისუფლება ამ ადამიანებს უფლებას აძლევს გამოიყენონ მუნიციპალური ქონება: იცხოვრონ საბავშვობაღებში, უფასოდ ისარგებლონ კომუნალური მომსახურებით, მაგრამ მათ დევნილებად მაინც არ აღიარებს და ამ დრომდე არც იმას ამბობს, როგორი შეიძლება იყოს მათი ცხოვრების პერსპექტივა.

ნინო დალაქიშვილი

განხეთქილება მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა ქრისტიანების გარკვეული ნაწილი ცდილობს აღადგინოს ურთიერთობა და შემდგომ ერთიანობა მსოფლიოს ორ უდიდეს ქრისტიანულ ეკლესიას - მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის. არსებობს ქრისტიანების დიდი ნაწილიც, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ყოველგვარ კონტაქტს. საგულისხმო ფაქტია, რომ 1965 წლის 7 დეკემბერს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ათინაგორამ და რომის პაპმა პავლე VI-მ გააუქმეს ორმხრივი ანათემა (საეკლესიო წყევლა) და გამოაცხადეს სიყვარულის დიალოგის დაწყება კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის. საეკლესიო სქიზმიდან (ბერძ. σχίσμα, Schísma -გაყოფა, გახლეჩა) 800 წელზე მეტია გასული და თანამედროვე ქრისტიანებისთვის, განსაკუთრებით კი ევროპაში მცხოვრები მართლმადიდებლებისთვის, მეტად სასარგებლო იქნებოდა ზუსტი და ობიექტური ცოდნა იმ მიზეზებისა, რომელთაც ქრისტეს ეკლესია გაყოფამდე მიიყვანეს. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მოკლედ და მიუკერძოებლად მიმოვიხილოთ საეკლესიო განხეთქილების ისტორიული განვითარება და მისი თეოლოგიური და პრაქტიკული მიზეზები.

განხეთქილების თარიღი

განხეთქილების თარიღად კათოლიკურ სამყაროში მიიჩნევა 1054 წელი, როცა რომის პაპმა ლეო IX-მ (1049-1054 წწ.) თავის წარმომადგენლების მეშვეობით ეკლესიიდან განჰკვეთა კონსტანტინეპოლის პატრიარქი მიქაელი. მართლმადიდებლური სამყარო განხეთქილების თარიღად მიიჩნევს 1204 წელს, როცა ლათინმა ჯვაროსნებმა დაიპყრეს და გაძარცვეს მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრი - კონსტანტინეპოლი (დღევანდელი სტამბოლი). ამ მოვლენამ ქრისტეს ეკლესია საბოლოო განხეთქილებამდე მიიყვანა და ქრისტეს ეკლესიის ერთიან სხეულს დღემდე მოუშუშებელი ჭრილობა მიაყენა. მაგრამ, არ იქნებოდა მართებული, რომ განხეთქილება დაგვებრალებინა მხოლოდ ეკლესიისთვის ამ უმძიმესი 1054 და 1204 წლების მოვლენებისთვის. სინამდვილეში საქმე გვაქვს დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიების გაუცხოვების ხანგრძლივ პროცესთან, რომელიც მე-4 საუკუნიდან მე-15 საუკუნემდე გრძელდებოდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ განხეთქილება ასწლეულების განმავლობაში მწიფდებოდა. მე-4 საუკუნის დასაწყისში რომის იმპერიის პოლიტიკურმა ცენტრმა რომიდან კონსტანტინეპოლში გადაინაცვლა და ამ დროიდანვე დაიწყო მეტოქეობა ძველ დედაქალაქ რომსა და ახალ დედაქალაქს - კონსტანტინეპოლს შორის. აშკარაა ისიც, რომ განხეთქილების გამომწვევი ყველა საეკლესიო დავა მიმდინარეობდა მხოლოდ რომსა და კონსტანტინეპოლს შორის. ბიზანტიის იმპერიის დანარჩენი სამი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო ცენტრი ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატრიარქოები ემხრობოდნენ კონსტანტინეპოლს და ეს თავისთავად ნიშნავდა უთანხმოებას რომსა და მთლიანად აღმოსავლეთის ეკლესიას შორის.

გაუცხოვება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის

უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს, რომელთაც ეკლესიების გაუცხოვება გამოიწვიეს მიეკუთვნებიან:

<u>განსხვავებული ეკლესიოლოგია, და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა</u>

საღვთისმეტყველო კუთხით უთანხმოების მნიშვნელოვან საფუძველს დღესაც, ისევე როგორც მაშინ, წარმოადგენს განსხვავებული ეკლესიოლოგია ანუ მარტივად რომ ვთქვათ - განსხვავებული გაგება ეკლესიისა. 330 წელს იმპერიის დედაქალაქის რომიდან კონსტანტინეპოლში გადატანამ სხვადასხვა პოლიტიკური მდგომარეობა შექმნა აღმოსავლეთსა და დასავლეთში და ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია განსხვავებული ეკლესიოლოგიების ჩამოყალიბებაზე. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში (ბიზანტიაში) იჯდა იმპერატორი, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრი და მას ჰყავდა მკაცრად ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრუქტურები. ეკლესიის ორგანიზების წესიც შეესაბამებოდა პოლიტიკურ სტუქტურებს. იმპერატორს ენიჭებოდა მსოფლიო კრებების

მოწვევისა და თავმჯდომარეობის უფლება. საეკლესიო კრებების დადგენილებების ცხოვრებაში დანერგვაც სახელმწიფო ძალაუფლების მეშვეობით, და არც თუ იშვიათად, ძალის გამოყენებით ხდებოდა. იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) კოდიფიცირებული საეკლესიო სამართლის მიხედვით იმპერიის ეკლესია დაიყო რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატრიარქოებად და ამ 5 საპატრიარქოს დაევალა მთელი სახელმწიფო ეკლესიის მართვა. ჩამოყალიბდა ე.წ. პენტარქიის (ხუთმმართველობა) პრინციპი, რასაც თავის მხრივ ამტკიცებდა საეკლესიო კრებების დადგენილებები. **აქედან გამომდინარე, აღმოსავლური ანუ მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის მიხედვით არსებობენ სხვადასხვა, დამოუკიდებელი ანუ ავტოკეფალური, თანასწორი და თანასწორუფლებიანი ეკლესიები. ერთადერთი კომპეტენტური ინსტანცია ყველა ეკლესიისთვის საყოველთაოდ მისაღები გადაწყვეტილებებისთვის არის მსოფლიო საეკლესიო კრება.** შესაბამისად მთლიანად მსოფლიო ეკლესიაში და ასევე ადგილობრივ, ავტოკეფალურ ეკლესიებშიც არსებობს ეკლესიის მეთაურის მხოლოდ საპატიო უპირატესობა და არა იურისდიქციული უპირატესობა. ამიტომაც მართლმადიდებელ ეკლესიებში არც პატრიარქები იღებენ მნიშვნელოვან საყოველთაო-საეკლესიო გადაწყვეტილებებს ეპისკოპოსებთან შეთანხმების გარეშე და არც ეპისკოპოსებს აქვთ უფლება პატრიარქის გარეშე მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. მართლმადიდებლური ხედვით ეკლესიის მეთაურის უპირატესი ადგილი არის „პირველი თანასწორთა შორის“ (*primus inter pares*).

ჰაგია სოფიას კონსტანტინეპოლის საკათედრო ტაძარი (ამჟამად მუზეუმი)

აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, მე-4 საუკუნიდან დასავლეთ რომის იმპერიაში აღარ არსებობდა ცენტრალური პოლიტიკური ძალაუფლება. აქ იყვნენ მხოლოდ ერთმანეთთან მოქიშპე ადგილობრივი დიდებულები. რომის საეპისკოპოსო კათედრა ერთადერთი საეკლესიო ავტორიტეტი იყო დასავლეთში, რომელიც მონაწილეობდა არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტაშიც. 754 წელს ფრანკების მეფე პიპინ III-მ საშუალება მისცა რომის პაპს სტეფანე II-ს დაეარსებინა ვატიკანის ეკლესია-სახემწიფო და პაპმაც საეკლესიო ძალაუფლებასთან ერთად შეითავსა პოლიტიკური ძალაუფლება. ამასთან ერთად კათოლიკურ ეკლესიაში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა სწავლებანი რომის პაპის ღვთაებრივი უფლებების, მისი იურისდიქციული პირველობის და მისი სწავლების უცდომელობის შესახებ. **ამგვარად, დასავლური ანუ კათოლიკური ეკლესიოლოგიის მიხედვით ერთადერთი და უფლებამოსილი მეთაური მთელი ეკლესიისა არის რომის პაპი, როგორც პეტრე მოციქულის მემკვიდრე. ყველა ეპისკოპოსები არიან მისი წარმომადგენლები ადგილობრივ ეკლესიებში. პაპს აქვს უფლება ერთპიროვნულად გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი საეკლესიო საკითხები. თვით მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებები ძალაში შედიან მხოლოდ პაპის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.**

<u>გადახვევა ძირითად სარწმუნეობის საკითხებში</u>

ეს პუნქტი უპირველეს ყოვლისა ეხება დამატებას, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ შეიტანა სარწმუნოების სიმბოლოში - მრწამსში. ეს დამატება ცნობილია „Filio Que“-ს („და ძისაგან“) სახელით. იგი პირველად გამოჩნდა ესპანეთში, 589 წლის ტოლედოს კრებაზე არიანული ერესისაგან თავის დასაცავად და ამავდროულად იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების ხაზგასასმელად. მაშინდელი პაპის ლეო III-ის მიერ ფრანკების მეფედ ნაკურთხი კარლ დიდი დაჟინებით მოითხოვდა, რომ დამატება „Filio Que“ არა მარტო რომის ეკლესიისთვის, არამედ მთელი აღმოსავლეთის ეკლესიისთვისაც სავალდებულო გამხდარიყო. მიუხედავად იმისა რომ პაპმა ლეომ უარი თქვა ამ ცვლილებაზე, ფრანკებმა მაინც დაიტოვეს იგი. საბოლოოდ 1014 წელს იმპერატორ ჰაინრიხ II-ის ზეწოლით კათოლიკურმა ეკლესიამ „Filio Que“ ოფიციალურად შეიტანა მრწამსში. მრწამსის ამგვარი შეცვლა მართლმადიდებლური

სამყაროსთვის იყო და არის მიუღებელი, რადგან იგი გამოხატავს ცალმხრივად განხორციელებულ ცვლილებას და არა არის მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება. ამასთანავე „Filio Que“ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ გაგებას წმინდა სამების არსის შესახებ.

<u>განსხვავებები საეკლესიო პრაქტიკაში</u>

მე-4 საუკუნიდან სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა განსხვავებანი პრაქტიკულ საეკლესიო ცხოვრებასა და წეს-ჩვეულებებშიც. სადავო საკითხებს მიეკუთვნებოდა: გაფუებული და გაუფუარი პურის გამოყენება წირვის დროს, გარდაქმნილი ღვინისთვის მდუღარების შერევა, სასულიერო პირთა უქორწინებლობის აღთქმა დასავლეთში, რომელიც აღმოსავლური ხედვით ძალიან მკაცრი იყო, დასავლეთში პრაქტიკირებული შაბათის მარხვა, აღმოსავლეთში არსებული აკრძალვა გაგუდული ცხოველებისა და უმი სისხლის საკვებად გამოყენებისა. ასევე სასულიერო პირთათვის აღმოსავლეთში მიღებული წვერის ტარების წესი. 691 წელს კონსტანტინეპოლში, ტრულის მე-2 კრებაზე განხილული იქნა ხსენებული საკითხები და უპირატესობა მიენიჭა აღმოსავლეთში მიღებულ წესებს. სავარაუდოა, რომ ეს იყო ბიზანტიის კიდევ ერთი მცდელობა ეკლესიაში ერთიანობის ტენდენციის დანერგვისა.

<u>განსხვავებული საეკლესიო და საღვთისმეტ-ყველო ენა</u>

არანაკლებ ხელს უშლიდა ეკლესიის ერთიანობას სხვადასხვა სამეტყველო ენა აღმოსავლეთსა და დასავლეთში. I-II საუკუნეებიდან სულ უფრო და უფრო კლებულობდა რომში ბერძნული ენის ცოდნა და ასევე კონსტანტინეპოლში - ლათინურისა. ეს, რაღა თქმა უნდა იწვევდა საღვთისმეტყველო საკითხების სულ უფრო ნაკლებ გაცვლა-გამოცვლას. უკვე მე-4 საუკუნეში დასავლეთის მხოლოდ რამოდენიმე საეკლესიო მოღვაწე ფლობდა ბერძნულს. მაგალითად, კათოლიკური ეკლესიის დიდი მასწავლებელი ნეტარი ავგუსტინე თავის ნაშრომებს წერდა ლათინურად და არ იცოდა ბერძნული. ასევე ბერძენი საეკლესიო მოღვაწეები ვერ ფლობდნენ ლათინურ ენას. მე-7 საუკუნიდან აღმოსავლეთში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ ლათინური ენა ბარბაროსული ენაა და ამდენად შეუფერებელი საღვთისმეტყველო საკითხების განსახილველად. კონსტანტინეპოლის პატრიარქის ტიტულის - „ეკუმენური პატრიარქი“ - გაშემო ატეხილი დავა ნათელი მაგალითია ენის არასრულყოფილი ცოდნისა. ტიტული „ეკუმენური პატრიარქი“ დასავლეთში ითარგმნა როგორც მსოფლიოს პატრიარქი და შესაბამისად რომი ხედავდა მასში კონსტანტინეპოლის პატრიარქის პრეტენზიას პირველობაზე. მცნება „ეკუმენე“ კი მაშინდელ ბერძნულ ენაში გულისხმობდა ბიზანტიის იმპერიას და ნიშნავდა იმპერიის პატრიარქს.

წმ. პეტრეს ბაზილიკა რომში, ვატიკანი

1054 წლის განხეთქილება

პირველი სერიოზული დაპირისპირება მოხდა მაშინ, როცა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ლათინური ეკლესიებისათვის კონსტანტინეპოლში სავალდებულო გახადა ბიზანტიური ღვთისმსახურების წესი. ამ ეკლესიებმა უარი განაცხადეს დამორჩილებაზე და პასუხად მათ აეკრძალათ ღვთისმსახურება. ამ დროს რომი ჩაბმული იყო ნორმანებთან ბრძოლაში და მას ბიზანტიის დახმარება გადაუდებლად სჭირდებოდა. ამ მიზნით 1054 წელს რომმა კონსტანტინეპოლში გააგზავნა პაპის დელეგაცია კარდინალ ჰუმბერტის მეთაურობით. დელეგაციას ორი გზავნილი მიჰქონდა პაპ ლეო IX-გან. პირველში იგი სთხოვდა იმპერატორს სამხედრო დახმარებას ნორმანებთან ბრძოლაში. მეორე წერილი მიმართული იყო პატრიარქისადმი, სადაც პაპი იმედს გამოთქვამდა გაუგებრობების მოგვარების საქმეში, მაგრამ ამავდროულად ადანაშაულებდა პატრიარქს შერიგების პროცესის ხელის შეშლაში. მისიამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს. როგორც სჩანს პატრიარქი არ დაეთანხმა პაპის ბრალდებებს. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა და დამთავრდა იმით, რომ პაპის წარმომადგენლებმა

კონსტანტინეპოლის ჰაგია სოფიას ტაძარში ანათემას გადასცეს კონსტანტინეპოლის პატრიარქი და რამოდენიმე სასულიერპო პირი. მიუხედავად იმისა, რომ ეს წყევლა ეხებოდა კონკრეტული პიროვნებებს, მასში დაფიქსირებული იყო ბრალდებანი მთელი მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. საპასუხოდ, რამოდენიმე დღის შემდეგ შეკრებილმა სინოდმა, უკვე გამგზავრებული პაპის წარმომადგენლები, მაგრამ არა თვითონ პაპი, ანათემას გადასცა. ორივე მხარის განაჩენი მიმართული იყო კონკრეტული პირების წინააღმდეგ და ამავდროულად ეკლესიების ფაქტიურ გაყოფას ნიშნავდა. თუ მოვლენების შემდგომ განვითარებას გადავხედავთ ნათელად სჩანს, რომ აღნიშნული მოვლენები შემდგომ წლებში ნაკლებად არის ნახსენები და განხილული. დასავლეთში ამ კონფლიქტს თითქმის არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭეობდა. საგულისხმოა ინფორმაცია 1089 წელს, 40 წლის შემდეგ, კონსტანტინეპოლში ჩატარებული სინოდის სხდომიდან, რომელშიც თუმცა ნახსენებია 1054 წლის სქიზმა, მაგრამ დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის მოხსენიებული. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 1054 წლის მოვლენები ჯერ კიდევ არ მიიჩნეოდა საბოლოო განხეთქილებად.

კონსტანტინეპოლის დაპყრობა ჯვაროსნების მიერ და დიდი განხეთქილება

1204 წელს მე-4 ჯვაროსნული ლაშქრობის ჯარებმა დაიპყრეს და ააოხრეს კონსტანტინეპოლი. ამ ნაბიჯით ლათინები პოლიტიკურად და საეკლესიო პოლიტიკით შეიჭრნენ ბიზანტიის მართლმადიდებლურ სამყაროში. ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ გადარჩენილი იყო არაქრისტიანული სამყაროს შემოსევებისგან გაძარცვეული და განადგურებული იქნა ჯვაროსნების მიერ. ისტორიულ შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, მატერიალურ ზარალზე ბევრად სავალალო იყო რომის პაპის პოზიცია, რომელმაც პირდაპირ ისარგებლა სიტუაციით და რომის ეპისკოპოსის ე.წ. „კანონიერი იურიდიული უფლებამოსილების“ დასამყარებლად უხეშად შეიჭრა აღმოსავლეთში. თავისი წარმომადგენლის, კარდინალ ბენედიქტეს მიმართ წერილში იგი წერდა: „მას შემდეგ რაც ძალაუფლება შეცვლილ იქნა, აუცილებელი შეიქმნა სამღვდელო წესიც შეცვლილიყო.“ (Nikolaou, Theodor (Hg), Das Schisma zwischen Ost- und Westkirche, Munster 2004, გვ.90). შედეგად გადაყენებულ იქნა კონსტანტინეპოლის კანონიერი პატრიარქი იოანე და მის მაგივრად პატრიარქად არჩეულ იქნა ვენეციელი თომას მოროსინი (1204-1211 წწ.). „ამ ფაქტით პირველად ისტორიაში აღმოსავლეთის ეკლესიასაც ფაქტიურად იძულებით დააკისრეს პაპის ე.წ. იურისდიქციული პირველობა. ეს უკვე ნიშნავდა ნამდვილ განხეთქილებას აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიებს შორის.“ (იქვე, გვ.91) როგორც ავღნიშნეთ, მართლმადიდებლურ სამყაროში მიღებული ეკლესიების ავტოკეფალურობის პრინციპისგან განსხვავებით, პაპს მიაჩნდა, რომ იგი უფლებამოსილი იყო მთელს მსოფლიო ეკლესიაზე, თვით პატრიარქების დანიშვნის ჩათვლით. 1215 წელს პაპმა მოიწვია მე-4 ლატერანული კრება, რომელმაც შემოიღო შემდეგი ცვლილებები: მე-4 კანონი განმარტავდა, რომ მართლმადიდებლებს უფლება ჰქონდათ შეენარჩუნებინათ წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიარებდნენ მათზე პაპის იურისდიქციას. ამ წესის საფუძველზე შემდგომ წლებში წარმოებდა პროზელიტიზმი ანუ მართლმადიდებელი ქრისტიანების გადაბირება კათოლიკურ ეკლესიაში, რაც მძიმე დაბრკოლებად არსებობს დღევანდელ დღემდე. ამავე კრების მე-5 კანონმა შეცვალა ეკლესიის ხუთმმართველობის პრინციპი და დააკანონა პაპის განსაკუთრებული ადგილი. ამ კანონის მიხედვით რომის პაპი აღარ არის ერთ-ერთი ხუთი იერარქიდან, არამედ მას ეკუთვნის განსაკუთრებული ძალაუფლება მთელს ეკლესიაზე და უშუალოდ აღმოსავლეთის ოთხ პატრიარქზე. ეს ხედვა კი ძირეულად ეწინააღმდეგება მართლმადიდებელურ ეკლესიოლოგიას და ეკლესიების თვითმყოფადობის და ავტოკეფალიის პრინციპს.

ლიონის 1274 წლის და ფლორენციის 1439 წლის კრებებზე იყო მცდელობა მართლმადიებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის ერთიანობის აღდგენისა. თუ გავითვალისწინებთ თურქების შემოსევებისგან კარს მომდგარ საშიშროებას, ეს ერთიანობა განსაკუთრებით სასურველი და საჭირო იყო ბიზანტიისთვის. მაგრამ საეკლესიო პირების დიდი ნაწილი უარყოფითად შეხვდა მას და ამ მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

დეკანოზი თამაზ ლომიძე

„იენა – თბილისის კლასიკოსები“

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან აკავშირებს. თუმცა, მათგან ყველაზე მჭიდრო და მეგობრული - იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტთან თანამშრომლობაა, რომელიც 45 წელს ითვლის. ამ თარიღს მიეძღვნა საიუბილეო კონფერენცია, რომელით 2011 წლის 14 სექტემბერს თბილისის სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა.

საიუბილეო კონფერენციას ესწრებოდნენ იენის უნივერსიტეტის დელეგაცია, რექტორის - პროფესორ კლაუს დიკეს ხელმძღვანელობით, საქართველოს პარლამენტის, განათლების სამინისტროს და გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები.

„იენის უნივერსიტეტთან პარტნიორული ურთიერთობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პრესტიჟი და დიდი პატივია“ - მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა თსუ რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა. იენის უნივერსიტეტის რექტორმა კლაუს დიკემ უდიდესი შეფასება მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც მნიშვნელოვან სამეცნიერო კერას კავკასიის რეგიონში და მას „ცოდნის ტაძარი“ უწოდა.

იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტი 1558 წელს დაარსდა. დღეისათვის იგი ევროპის ერთ–ერთი უძველესი, სახელგანთქმული და ტრადიციული უნივერსიტეტია. მრავალი ათეული წელია, აქ კავკასიოლოგიის ცენტრი ფუნქციონირებს, სადაც ქართველოლოგთა მრავალი თაობა აღიზარდა.

ორი უნივერსიტეტის პარტნიორობის ფარგლებში ქართველი მეცნიერები და სტუდენტები ყოველწლიურად იგზავნებოდნენ იენაში ცოდნის მისაღებად. გერმანიიდან კი ჩამოდიოდნენ ის მეცნიერები, რომლებიც ქართველოლოგიით იყვნენ დაინტერესებულნი.

ამ ურთიერთობების შედეგად, თსუ-ს კურსდამთავრებული მეცნიერის – ჰაინც ფენრიხის ინიციატივით, 1973 წელს დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „გეორგიკა“, რომელიც თავდაპირველად იენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფესორ აკაკი შანიძის ზედამხედველობით გამოდიოდა და როგორც ერთადერთი სამეცნიერო პერიოდული გამოცემა ევროპაში, პოპულარიზაციას უწევდა ქართულ სამეცნიერო კვლევებსა და ნაშრომებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდებოდა ჰაინც ფენრიხს ამ ჟურნალის არსებობის შენარჩუნებისათვის იმ პირობებში, როცა მასზე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იდეოლოგიური წნეხი არსებობდა. ერთ-ერთ ინტერვიუში ის აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირში

თსუ-სა და იენის უნივერსიტეტების 45 წლის პარტნიორობის აღსანიშნავი საიუბილეო კონფერენცია

იენის უნივერსიტეტის რექტორს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ კლაუს დიკეს მიენიჭა თბილისის სახ. უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება

ქართველები ცნობილნი იყვნენ იმით, რომ ისინი საბჭოეთისადმი განსაკუთრებით ლოიალურობით არ გამოირჩეოდნენ. რუსეთის მხრიდან, მათ ასევე გამუდმებით სეპარატიზმში ადანაშაულებდნენ, რომ მათ საბჭოთა კავშირში არსებობა არ სურდათ. ხოლო, როდესაც ვინმეს ჟურნალის დაარსება სურს, სადაც მხოლოდ ნაწილობრივ ეთმობა ადგილი საბჭოეთს, არ ეძღვნება ის მთლიანად საბჭოთა კავშირს, რა თქმა უნდა ეს პროექტი ეჭვს იწვევდა სეპარატიზმის გაღვივების მცდელობაში".

ჰაინც ფენრიხი ჟურნალს 28 წელი გამოსცემდა. რამდენიმე წლის წინ იგი პენსიაში გავიდა და ჟურნალი ქალბატონ შტეფი იუნგერ-ხოტივარს გადააბარა.

საიუბილეო კონფერენციაზე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა გაიხსენა იმ იენელი და თბილისელი პროფესორების თაობები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორმხრივ ურთიერთობებში: „იენელი პროფესორების ფრიდმან კიუნერტისა და ერნსტ გიუნთერ შმიდტის ძალისხმევამ ჭეშმარიტად სანიმუშო შედეგი გამოიღო – ეს გახლავთ ცხრა ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია სიძველეთმცოდნეობაში, რომელთაც უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ფორუმების რეპუტაცია მოიპოვეს. მათ ამგვარი ფორმულით აღნიშნავდნენ: იენა – თბილისის კლასიკოსებ"- განაცხადა რისმაგ გორდეზიანმა.

ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობამ მრავალი ურთულესი პერიოდი გამოიარა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ იენის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალი თითქმის მთლიანად გამოიცვალა, თანამშრომლობა მაინც არ შეწყვეტილა და ის ჩვეულ კალაპოტში დღესაც გრძელდება. ახალმა ხელმძღვანელობამ არ წაშალა ის ტრადიცია, რაც ჯერ კიდევ 1966 წლიდან არსებობდა. პირიქით, გაიზარდა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების, პროფესორ - მასწავლებელთა მივლინებების, სამეცნიერო კონფერენციების თუ სხვა ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა.

კონფერენციის დასასრულს, იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ კლაუს დიკეს თსუ საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

უჩა გოგიშვილი

საქართველოს ევროინტეგრაციის ინსტიტუტის
აღმასრულებელი დირექტორი

ორმაგი ხარისხის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობები განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. 2011 წლის შემოდგომის სემესტრიდან დაფუძნდა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა "Managing International Enterprises", რომლის კურსდამთავრებულსაც მიენიჭება ორმაგი ხარისხი: ქართული და გერმანული.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაცია 2011 წლის 15 სექტემბერს, თსუ მე-10 (ე.წ. მაღლივ) კორპუსში გაიმართა. მას ესწრებოდნენ: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და იენის ფრიდრიფ-შილერის უნივერსიტეტის რექტორები: ბატონი ალექსანდრე კვიტაშვილი და პროფესორი კლაუს დიკე; ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები - ორი უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტების დეკანები, პროფესორი ელენე ხარაბაძე და პროფესორი იოჰანეს რუჰლანდი;

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის გახსნის საზეიმო ცერემონიალი თსუ-ს მაღლის კორპუსში

პროგრამის კოორდინატორი, საქართველოს მხრიდან, ბატონი ლაშა ტაბატაძე; თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებების ხელმძღვანელები - თსუ სრული პროფესორები. სპეციალურად მოწყობილი ტელე-ხიდის მეშვეობით კი - ღონისძიებას გერმანიიდან შემოუერთდნენ პროგრამის კოორდინატორი გერმანიის მხრიდან, ბატონი ალექსანდრე ბუჩაშვილი, იენის ოფისის თანამშრომლები: ნათია ხორგუაშვილი და კატია ზაიდლერი. ასევე იენის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

იმისათვის, რომ მსურველი მოხვდეს აღნიშნულ პროგრამაზე, მას უკვე უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაიაროს ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები და გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (მინიმუმ B-2 დონე) ან წარმატებით ჩააბაროს შესაბამისი გამოცდა და გაიაროს ტესტირება და გასაუბრება ეკონომიკის პრინციპებში და ბიზნესის

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის თანამშრომლები მარცხნიდან მარჯვნივ: სოფიკო ჯვარშეიშვილი (პროექტის მენეჯერი თსუ-ს მხრიდან), ულრიკე ჰაუპტი, პროფესორი რაინჰარდ ჰაუპტი, ნათია ხორგუაშვილი (პროექტის მენეჯერი იენის უნივერსიტეტის მხრიდან), პროფესორი დავით ნარმანია

საფუძვლებში.

პროგრამის ძირითადი ნაწილის დაფინანსება ხდება გერმანიის აკადემიური ურთიერთგაცვლის სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით, თუმცა სტუდენტებისათვის სწავლება ფასიანია და შეადგენს 1500 ევროს სემესტრში.

სწავლების პერიოდში სტუდენტები შეისწავლიან ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, ეკონომიკური ინფორმატიკის, ინტერკულტურული ეკონომიკური კომუნიკაციისთეორიებს,დაეუფლებიან პროფესიულ უნარ-ჩვევებს და მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

პროგრამა ორწლიანია. სწავლების პირველ წელს სტუდენტები გაივლიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე. თითოეულ საგანში მოწვეულნი არიან როგორც ქართველი, ისე გერმანელი პროფესორები, რომლებიც ლექცია-სემინარებს წაიკითხავენ ე.წ. გუნდური სწავლების (Team Teaching) პრინციპით. ამ მიზნით, იენელი პროფესორები სემესტრში ერთხელ ჩამოვლენ საქართველოში, მაგრამ სტუდენტებთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნებისთვის, ფართოდ გამოიყენებენ ე.წ. დისტანციური ანუ ელექტრონული სწავლების ფორმას (E-Learning). სწავლების მეორე წელს სტუდენტები გაივლიან გერმანიაში - იენის უნივერსიტეტში, სადაც თეორიულ მომზადებასთან ერთად, მათ მიეცემათ სასწავლო პრაქტიკის შესაძლებლობა.

ლექცია-სემინარების უმრავლესობა ჩატარდება ინგლისურ ენაზე. სწავლების პირველ წელს სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ გერმანული ენა.

სტუდენტებს შეეძლებათ სამაგისტრო ნაშრომი დაწერონ როგორც თბილისში, ისე იენაში.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა "Managing International Enterprises", სწავლების წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს მიენიჭება მაგისტრის ორმაგი ხარისხი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან: Master of Business Administration, MBA, ხოლო იენის უნივერსიტეტის მხრიდან: Master of Science, M.Sc.

აღნიშნული პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს რეალურ შანსს დასაქმდეს საქართველოს, გერმანიის თუ ევროპის წამყვან საწარმოებში თუ მსოფლიო მაშტაბის ტრანსნაციონალურ კომპანიებში ან აირჩიოს მეცნიერული კარიერა და განავითაროს იგი.

სოფიკო ჯვარშეიშვილი
ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მენეჯერი

„თამარ I"-ის ჩამოკვეთილი არწივები

კაცობრიობის არსებობის ისტორიის მანძილზე მსოფლიოს არა ერთი ფართო, რეგიონალური თუ ლოკალური ომის გადატანა მოუხდა, მაგრამ არც ერთ მათგანს არასოდეს არ გააჩნდა იმხელა გამანადგურებელი მასშტაბები, როგორიც ეს მეოცე საუკუნის შუა ხანებში გაჩაღებულმა მეორე მსოფლიო ომმა შეიძინა. ამ ომმა მილიონობით სიცოცხლე შეიწირა და საშინელებათა განცდის წარუშლელი კვალი დატოვა მათში, ვინც მას გადაურჩა. ამ დონის ტრაგედიას მსოფლიო საზოგადოებისათვის თითქოს რაღაც უნდა ესწავლებინა, რამენაირ ლოგიკურ დასკვნამდე უნდა მიეყვანა იგი, რაც მომავალში მსგავსი პრეცედენტების განმეორებას გამორიცხავდა, მაგრამ სამწუხარო რეალობა გვიჩვენებს, რომ ეს მთლად ასე არ არის და საზოგადოება იმდროინდელი მოვლენებიდან არც თუ ისე დიდი ხნის გასვლის შემდეგაც კი, არ შეცვლილა და მომავალი ახალი ომებისაგან დაცული სრულიადაც არ არის. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა შეფასებას მივცემთ თანამედროვენი წარსულში მომხდარისეთგლობალურ კატასტროფებს,როგორიც მეორე მსოფლიო ომი იყო. წარსულში დაგროვილი პასუხგაუცემელი კითხვები დღევანდელობას ტვირთად აწვება და მათი იგნორირება, არა თუ ძველი, გადაუჭრელი პრობლემების მოგვარებას არ უზრუნველყოფს, არამედ პირიქით, თანამედროვე ცხოვრებაში ახალი გართულებების წარმოშობასაც კი უწყობს ხელს.

ერთ-ერთ ასეთ პრობლემად რჩება მეორე მსოფლიო ომის როლი და მისი შედეგები ამა თუ იმ ცალკეული ერისა თუ ქვეყნის ისტორიაში. თუკი ამ ომის მთავარი დამნაშავენი – ნაცისტები, საერთაშორისო საზოგადოებამ ასე თუ ისე განსაჯა, დღემდე შეუფასებელი რჩება რიგი სხვა, არანაკლებმნიშვნელოვანი საკითხები. ისეთები, როგორებიცაა მოკავშირე ჯარისკაცების მიერ ომის მსვლელობისას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ გამოყენებული გადაჭარბებული სისასტიკე, გერმანელი ერის კოლექტიური დანაშაულის საკითხი, საბჭოთა კავშირის (იგივე ბოლშევიკური რუსეთის) როლი ომისშემდგომდროინდელ აღმოსავლეთ ევროპაში და სხვ.

ამის გარდა, იმდროინდელმა მოვლენებმა მასში მონაწილე ყოველი ერის აზროვნებაში თავისებური, განსხვავებული ასახვა ჰპოვა. თუ კი ომში გამარჯვებულ ქვეყნებში ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და რუსეთში (როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე ქვეყანა) იგი ფაშიზმზე, როგორც საყოველთაო ბოროტებაზე გამარჯვებისა და, შესაბამისად, მათი ეროვნული სიამაყის გამომხატველ სიმბოლოდ იქცა, დამარცხებულ და განსაკუთრებით, ამ ბრძოლაში ირიბად ჩართულ ქვეყნებში, იგი დღემდე დავისა და განსჯის საგნად არის ქცეული.

ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება საქართველოც. თუკი საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთი შემადგენელ რესპუბლიკაში, საქართველოშიც ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ ომში, საერთო ძალისხმევით მოპოვებულ გამარჯვებას, დღეს ამ მხვრივ, გარკვეულწილად განსხვავებულ ვითარება შეინიშნება. იმის გარდა, რომ რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დასრულებისადმი მიძღვნილი აღლუმები და სხვადასხვა პომპეზური ღონისიებანი არ ეწყობა, პრესასა და სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებში ჩვენი ქვეყნისათვის ამ ომის მანამდე არსებული მნიშვნელობის გადაფასების აშკარა ტენდენცია შეინიშნება. ამ საკითხის დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანს.დამაინც,ისმისკითხვა,რასწარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომი საქართველოსათვის? იყო ეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის წარუმატებელი მცდელობა თუ სხვათა ინტერესებისათვის გაღებული მსხვერპლი?

ცხადია, დასმულ კითხვებზე კითხვებზე სრულყოფილი პასუხის გაცემა ერთ სტატიაში ვერ მოხერხდება, მაგრამ შევეცდებით მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას მომხდარი ერთი კონკრეტული მოვლენის მაგალითზე, ამ საკითხებსაც გარკვეულწილად ნათელი მოვფინოთ. საქმე ეხება ვერმახტის დროშის ქვეშ მებრძოლ ქართველებს და კონკრეტულად კი, მათ ერთ-ერთ, შედარებით მცირე ჯგუფს, რომელიც მსოფლიო ისტორიოგრაფიაში „თამარ I"-ის სახელით შევიდა.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის ეროვნული აჯანყების მარცხის შემდეგ, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს საქართველოდან პოლიტიკური ემიგრაციის ნაკადი მიაწყდა. დროთა განმავლობაში, სიტუაციის შედარებითი სტაბილიზაციის შემდეგ, ქართველმა ემიგრანტებმა ძირითადად საფრანგეთში,

გერმანიასა და პოლონეთში მოიყარეს თავი, სადაც ისინი, როგორც უცხოეთის ეროვნულ სათვისტომოებთან დაკავშირებულ საქმიანობაში, ასევე ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურად ჩაერთვნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს, კავკასიის ფრონტზე გერმანელთა თავდაპირველმა წარმატებებმა, ქართველ ემიგრანტებს საქართველოს გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების იმედი გაუჩინა. ამ იდეის განსახორციელებლად, ისინი გერმანიის ნაცისტურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზეც კი წავიდნენ და ვერმახტის აღმოსავლურ ბატალიონებში ქართველ მოხალისეთა ლეგიონის (ე. წ. „Georgische Legion") შექმნას შეუდგნენ. ამ პროცესს განსაკუთრებით იმანაც შეუწყო ხელი, რომ ამგვარი საჯარისო შენაერთის ბირთვი საფრანგეთში უკვე არსებობდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულების შემდეგ, საბჭოთა კავშირი ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, გერმანიას ნავთობსა და საომარი მოქმედებებისათვის სხვა აუცილებელ რესურსებს აქტიურად აწვდიდა. ამის გამო, ბუნებრივია, რომ საფრანგეთისა და ინგლისის ხელისუფლებების მიერ საბჭოთა კავშირი, გარკვეული დროის განმავლობაში, გერმანიის მოკავშირედ მიიჩნეოდა და დასავლეთის მოკავშირეთა სამხედრო ხელმძღვანელობის მხრიდან, საჭიროების შემთხვევაში, საბჭოეთზე თურქეთის ტერიტორიიდან ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდების, ან უკიდურეს შემთხვევაში, ჭაბურღილებისა და ნავთობმომპოვებელი ინდუსტრიის მთელი დანარჩენი ინფრასტრუქტურის განადგურების მიზნით, სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობის გეგმა განიხილებოდა. ამ მონაკვეთზე საბრძოლო მოქმედებების გაჩაღების შემთხვევაში, კავკასიელებისაგან დაკომპლექტებულ სხვადასხვა დანიშნულების რაზმებს განსაკუთრებული როლი დაეკისრებოდათ. ასე მაგალითად, ქართული, დაახლოებით 200 კაციანი სპეციალური დანიშნულების რაზმი, ძირითადად ადგილობრივ მოსახლეობაზე მორალური ზეგავლენის მოხდენის მიზნით, ფრანგული სირიიდან თურქეთის გავლით საქართველოში უნდა გადაეყვანათ. ამავე დროს, ქართველები და სხვა კავკასიელებიც, რა თქმა უნდა, დაგეგმილ საბრძოლო ოპერაციებშიც მიიღებდნენ უშუალო, აქტიურ მონაწილეობას. ამ პროექტს ფრანგულ-ბრიტანული სპეციალური სამხედრო საკოორდინაციო საბჭოდან გენერლები გამელენი და ვაიგანი კურირებდნენ. ამ მიზნით საფრანგეთში აქტიურად დაიწყო ქართველ ემიგრანტთაგან საჯარისო შენაერთების დაკომპლექტება, რომლებიც სპეციალურ, მთიან რელიეფში ბრძოლის წარმოებისათვის საფრანგეთის პირინეებში განლაგებულ ბარკარის სამხედრო ბაზაზე საბრძოლო მომზადებას გადიოდნენ...

საფრანგეთის მოულოდნელმა და სამარცხვინო მარცხმა ეს გეგმები გარკვეულწილად ჩაშალა, თუმცა სულ მალე საბჭოეთის მტრად საფრანგეთის მაგივრად გერმანია იქცა და შეცვლილი რეალობიდან გამომდინარე ქართველებისა და გერმანელების მიზნების თანხვედრა მოხდა. ეს მომენტი კარგად გამოიყენა გერმანულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ და ქართველებს თანამშრომლობის წინადადებით მიმართა. ემიგრაციის მძიმე წლებითა და სამშობლოს ნოსტალგიით შეპყრობილ ევროპელ ქართველობას სხვა გზა არც ჰქონდა, რომ ამ შემოთავაზებას არ დათანხმებოდა. იმ დროის მსოფლიო პოლიტიკურ რუქაზე გერმანიის გარდა სხვა ძალა არც ჩანდა ვისაც ბოლშევიკური რუსეთის დამარცხება, ან თუნდაც მასთან ომის წარმოების სურვილი გაუჩნდებოდა. ომში საბჭოთა კავშირის დამარცხების გარეშე კი ქართველი ემიგრანტების სამშობლოში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნება წარმოუდგენელი ჩანდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართულ-გერმანული შეთანხმების პერიოდში, გერმანიის მთავრობა მსოფლიოს გარკვეულ ქვეყნებს აგრესორის ამპლუაში კი მოევლინა, მაგრამ საერთო ჯამში იგი სხვა, მანამდე არსებული ძლიერი სახელმწიფოებისაგან დიდად განსხვავებულ ნიშნებს არ ატარებდა. შემდეგშიც კი, როდესაც გერმანიის ნაცისტურმა მთავრობამ რეპრესიებს, სნეულთა ევთანაზიასა და ებრაელთა დევნას, მათ საკონცენტრაციო ბანაკებში მასობრივ განადგურებას მიჰყო ხელი, მის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი საშინელებანი ქართველებისათვის კი არა, თვით გერმანელთა უმრავლესობისათვისაც არ იყო ცნობილი. ასე რომ, ევროპაში მყოფ ქართულ ემიგრანტულ ინტელიგენციას თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, განსაკუთრებული ყოყმანი არ დაუწყია. ომში საბჭოთა კავშირის დამარცხება საქართველოს გათავისუფლების თეორიულ შესაძლებლობას მაინც ქმნიდა, რაც სამშობლოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე პატრიოტებს მოქმედებისაკენ უბიძგებდა. ამასთანავე, ამგვარად მოაზროვნე ქართველთა სასარგებლოდ იმის თქმაც შეიძლება, რომ ისინი, ვერმახტთან მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად, ნაცისტთა იდეოლოგიურ ზეგავლენას მაინც ნაკლებად განიცდიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ძალას, მხოლოდ ერთი მიზანი, ბოლშევიკური მთავრობის მოსპობის სურვილი აერთიანებდა. ამის დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება ისიც მოვიყვანოთ, რომ მთელი ომის განმავლობაში, ქართველ მეომართა მხრიდან აღარ დაფიქსირებულა ანტისემიტიზმის, ან თუნდაც ნაცისტური იდეოლოგიის ფართო პროპაგანდის არც ერთი შემთხვევა. არსებობს მხოლოდ ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის

გერმანელები კავკასიონზე

მიერ ჰიტლერისა და მუსოლინისადმი მიძღვნილი ესეები (რომლიც უფრო მის პირად ნააზრევად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე ევროპის ქართული დიასპორის ოფიციალურ პოზიციად) და ომის ბოლო წლებში გერმანელების მიერ ჩრდილოეთ იტალიასა და საფრანგეთში პარტიზანების წინააღმდეგ წარმოებულ სადამსჯელო ოპერაციებში ცალკეული ქართული მცირერიცხოვანი რაზმების მონაწილეობის თითო ოროლა ფაქტი (რაც მხოლოდ ომიანობის პერიოდში მათი საერთო სამხედრო ხელმძღვანელობისადმი დაქვემდებარებისა და მათ წინაშე გარკვეული ვალდებულების შედეგს წარმოადგენდა).

იმ ქართველებს შორის, ვინც გერმანულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საქმეში აქტიურად ჩაერთო, იმთავითვე ორი განსხვავებული და ერთმანეთისაგან გარკვეულწილად დამოუკიდებელი დაჯგუფება ჩამოყალიბდა. ესენი იყვნენ ერთისმხრივ ე. წ. „ქართული ლეგიონი“, რომელიც ლეო კერესელიძისა და სხვა „თეთრი გიორგელების” მიერ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს არსებული „ქართული ლეგიონის” ბაზაზე შეიქმნა და მას ამჯერად გენერალი შალვა მაღლაკელიძე, პოლოვნიკი სიმონ კობიაშვილი და სხვა ქართველი ვეტერანი სამხედრო სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. მეორესმხრივ კი, შედარებით უფრო ელიტარული და გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობასთან დაახლოებული, ახალგაზრდა ქართველი მოღვაწეებით (მიხეილ კედია, გივი გაბლიანი და სხვ.) დაკომპლექტებული ჯგუფი ე. წ. ქართველი „ბერგმანელები“. „თამარ I”-სა და „თამარ II”-ის პროექტებსაც სწორედ ეს უკანასკნელნი კურირებდნენ.

აღმოსავლეთ ფრონტზე წარმატებების პარალელურად, ომის პირველ ეტაპზე საბჭოთა ტყვეთა რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია. ქართველი ემიგრანტებიც დროს ფუჭად არ კარგავდნენ და სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მოხვედრილი ქართველი სამხედროების აქტიურ გადაბირებას ეწეოდნენ. მათი მეცადინეობით უამრავი ქართველი გადაურჩა გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკთა საშინელებას. ამგვარი ხერხით შეკრებილ ლეგიონერთა რიცხვმა მალე 30 000 კაცს გადააჭარბა, რომელთაგანაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან სპეციალური დანიშნულების დივერსიული დაჯგუფებები „თამარ I” და „თამარ II”. მათი შექმნის ბრძანებულებას „აბვერის” გენერალმა ე. ლახუზენმა 1941 წლის 20 ივნისს, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეჭრამდე ორი დღით ადრე, მოაწერა ხელი. ამ ბრძანებულების თანახმად, „თამარ I” -ის წევრები, შესაბამისი სამხედრო მომზადების შემდეგ, საქართველოში საჰაერო დესანტის სახით უნდა გადასროლილიყვნენ და სახალხო აჯანყებით, ან უკიდურეს შემთხვევაში, საბჭოთა ჯარების გადაადგილების შესახებ „აბვერისათვის” ინფორმაციის მიწოდებით, საბჭოთა ჯარიდან გაქცეული დეზერტირებით საკუთარი რიგების შევსებით და დივერსიების მოწყობის გზით საბჭოთა ჯარების ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება გამოეწვიათ. ამის გარდა, დივერსანტებს რუსების უკანდახევის შემთხვევაში, მათთვის საქართველოს სტრატეგიული ობიექტების დანაღმვისა და აფეთქების საშუალება არ უნდა მიეცათ. ჯგუფის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მხცოვანი ოფიცრის სოლიკო ზალდასტანიშვილის მიერ წარმოდგენილი გეგმაც აქტიურად განიხილებოდა, რომელიც საქართველოში გერმანული წყალქვეშა გემების მეშვეობით დესანტის გადასხმასა და ადგილზე საქართველოს დამოუკიდებელობის კომიტეტის შექმნას ითვალისწინებდა, მაგრამ ნაცისტებს, როგორც ჩანს, ქართველებისათვის ზედმეტი უფლებების მიცემის პერსპექტივა დიდად არ ხიბლავდა. ეს გეგმა საბოლოოდ დაიწუნეს, ხოლო თავად ზალდასტანიშვილი კი ამ საქმეს საერთოდ ჩამოაშორეს, რის შემდეგადაც იგი მალევე გარდაიცვალა.

მომავალი „თამარ I”-ის სავარაუდო პირადი შემადგენლობა 20 კაცის რაოდენობით, ჯერ ორლეანთან არსებულ სამხედრო ბაზაზე შეკრიბეს, სადაც მათ ობიექტების აფეთქებასა და სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ასწავლიდნენ. შემდეგ კი ვენაში გადაიყვანეს და სასტუმრო „შტეფანში“ ჯგუფის წევრებს საქართველოში დაგეგმილი ოპერაციის გეგმა გაანდეს. ჯგუფის ხელმძღვანელებმა უმცროსმა ოფიცერმა გერმანმა და ფელდფებელმა ჰაუფემ ქართველებთან სამხედრო თათბირი მოაწყეს.

გერმანელებს განსაკუთრებით ქართველების ნათესაური კავშირები აინტერესებდათ, რადგანაც, მათი აზრით, ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინებაში ამას განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა. მალე ჯგუფის წევრები სპეციალურ სამხედრო ყაზარმებში განათავსეს და შესაბამისი სამხედრო აღჭურვილობა დაურიგეს. მომდევნო დღეებში გერმანმა ისინი კიდევ ერთხელ შეკრიბა და საბრძოლო-პატრიოტული სიტყვით მიმართა მათ. ის ჯგუფის წევრებს ჰპირდებოდა, რომ უშუალოდ მიიღებდა მათთან ერთად მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში, ახსენებდა მებრძოლებს ამ საქმესთან დაკავშირებულ რისკს და მოუწოდებდა მათ კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყვნენ, სურდათ თუ არა მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. სამშობლოს მონატრებულ ქართველებს სიკვდილის შიშზე მეტად, საქართველოს ნახვის სურვილი უფრო ახარებდათ. ამიტომაც, როგორც შემდგომში ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იხსენებდა, უარი არავის უთქვამს. პირიქით, სამშობლოს გათავისუფლებაში მონაწილეობის მიღების პერსპექტივა თითოეულ მათგანს განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა. ჯგუფს იქვე ეწოდა ქართველთა სახელოვანი დედოფლის თამარის სახელი, თუმცა შემდგომში მას ხშირად „ეგერადაც“ (Zug Eger) მოიხსენიებდნენ (სავარაუდოდ ჯგუფის ხელმძღვანელის ედვარდ გერმანის სახელისა და გვარის ინიციალების მიხედვით). საბოლოოდ ჯგუფი შერეული შემადგენლობით ჩამოყალიბდა. რუმინეთის კარპატებში საგანგებო მომზადების შემდეგ, „თამარ I”-ში სულ 28 კაცი დატოვეს. ამათგან ნაწილი გერმანელი იყო, ნაწილი - ემიგრანტი ქართველი, ნაწილი კი - ყოფილი წითელგვარდიელი ტყვე ქართველი. გერმანელ სპეციალისტებს რადიოს მართვა და სხვადასხვა ობიექტების დანაღმვა ევალებოდათ, ქართველების უპირველესი დანიშნულება კი ნათესავების მეშვეობით ჯგუფის წევრების გადამალვა და დივერსიულ საქმიანობაში მათი (ნათესავების) გადაბირება-ჩართვა წარმოადგენდა. ოპერაციის განხორციელებამდე, კვალის დაფარვის მიზნით, ემიგრანტ ქართველებს გვარები გერმანულად გადაუკეთეს და ელზასელ გერმანელებად თავის გასაღება უბრძანეს (ემიგრანტთა უმრავლესობა ხომ მაინც გერმანულთან შედარებით ფრანგულ ენას ფლობდა). მართალია, ჯგუფის წევრებს მთიან რელიეფში მოქმედების წესებს, საპარაშუტო საქმეს, საბრძოლო ხელოვნებასა და სხვადასხვა იარაღის ხმარებას აქტიურად ასწავლიდნენ, მაგრამ როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, სრულყოფილი მომზადებისათვის დრო, ალბათ, საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. მსგავსი პროექტების, რომელშიაც ჩრდილო კავკასიელებთან ერთად სხვა ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა, (დივერსიული ჯგუფები „შამილი I” (ჩერქეზეთი), „შამილი II” (ჩეჩნეთი) და „მახაჩკალა” (დაღესტანი)) ასე თუ ისე წარმატებით განხორციელების შემდეგ, გერმანულ სამხედრო ხელმძღვანელობაში საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საქართველოში მსგავსი სახის ოპერაციის ჩატარების მიზნით „თამარ I”-ის გამოყენებაც სრულიად რეალური და წარმატებული შეიძლება ყოფილიყო. საბოლოოდ ორგანიზაციის 28 წევრი 4 დივერსიულ ჯგუფად დაყვეს. თითოეული მედესანტის აღჭურვილობაში შედიოდა: 1) გერმანული ავტომატი 500 ვაზნით, 2) „პარაბელუმის” სისტემის რევოლვერი 4 მჯიდით, 3) 7 ხელ-ყუმბარა, 4) 2 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა, 5) ბებუთი, 6) ელექტრონული სასიგნალო ნათურა, 7) ჩვეულებრივი ელექტრონული ნათურა, 8) კომპასი და რაიონული რუქა სამოქმედო გეგმით, 9) სატელეგრაფო ბოძების გადასახერხი სპეციალური ხერხი, 10) საბჭოთა გვარდიელის ფორმა, 11) ყალბი საბჭოთა საბუთები, 12) 200 ცალი პროპაგანდისტული შინაარსის საპროკლამაციო ფურცელი, 13) 10 დღის სამყოფი საჭმელი და 14) 5000 საბჭოური მანეთი...

გერმანელების სააგიტაციო პლაკატი ქართულ ენაზე

ერთი შეხედვით, კარგი დაგეგმვის მიუხედავად, ოპერაცია თავიდანვე წარუმატებლად დაიწყო, რაც ძირითადად პილოტის შეცდომით იყო გამოწვეული. 1942 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ღამით, ყირიმიდან განხორციელებული გაფრენის შემდეგ, მედესანტეთა გადმოყრა ისე მოხდა, რომ ისინი დიდ რადიუსზე გაიფანტნენ, რამაც შემდგომში ჯგუფის წევრთა დაქსაქსვა და დეზორგანიზაცია გამოიწვია. გარდა ამისა, როგორც ჩანს, საბჭოთა დაზვერვაც წინასწარ ინფორმირებული იყო მოსალოდნელი დესანტის შესახებ, ამიტომ მათაც ოპერატიულად იმოქმედეს და დივერსანტების დროული ბლოკირება მოახერხეს. ვერმახტის პარაშუტისტთა სამოსელში გამოწყობილი დივერსანტების დესანტირება ძირითადად მათი

მშობლიურ რაიონებში: წყალტუბოში, ტყიბულში, ჭიათურაში, ონში, ამბროლაურში, ცაგერსა და წალენჯიხაში მოხდა, შესაბამისად „ენკავედეს" რაზმებთან მათი პირველი საბრძოლო კონტაქტიც ძირითადად ამ რაიონებში დაფიქსირდა. თუკი საბჭოურ ძალოვან სტრუქტურებთან დივერსანტთა შეჯახების პროგნოზირება მაინც შესაძლებელი იყო, ქართულ მოსახლეობასთან მათი შეხვედრა მაინც მოუმზადებლად მოხდა. დივერსანტთა პირადი შემადგენლობის ძირითადი ნაწილი ან უცხოელი იყო, ან კიდევ - სულ სხვა გარემოში გაზრდილი, ქართული რეალობისაგან გაუცხოებული ქართველი, ამიტომაც მათ ადგილზე არსებული ვითარების შესახებ, მაინც ბუნდოვანი, არარეალური წარმოდგენები ჰქონდათ. XX-საუკუნის 40-იანი წლების საქართველო უკვე მკვეთრად განსხვავდებოდა იმ ქვეყნისაგან, რომელმაც 1921 წელს დამოუკიდებლობა თავგანწირულ, უთანასწორო ბრძოლაში დაკარგა. სტალინური რეპრესიების შედეგად თავისუფლებისმოყვარე, მებრძოლი თაობა უკვე დიდი ხნის განადგურებული იყო, ხოლო გადარჩენილებს კი ბოლშევიკური პროპაგანდით ისე ჰქონდათ შეცვლილი აზროვნება, რომ მათ გონზე მოყვანას მშვიდ გარემოშიც კი, ალბათ, წლები დასჭირდებოდა. რა გასაკვირია, რომ მათ, ვინც 1941 წლის 22 ივნისის მოვლენები „საკუთარ სამშობლოზე" თავდასხმად შეაფასეს, მათი ნამდვილი სამშობლოს „გასათავისუფლებლად" მოსული ყოფილი თანამემამულენი უცხოებად, ან მტრებად ჩაეთვალათ? ისე გამოვიდა, რომ ქართველთა უმრავლესობას თუ არა, ნაწილს მაინც ასეთი ფორმით შემოთავაზებული თავისუფლება უკვე აღარც სჭირდებოდა. ისინი აქტიურად ეხმარებოდნენ წითელარმიელებს დივერსანტთა გამოვლენასა და ზოგჯერ ლიკვიდაციაშიც კი. თუმცა ამის თქმა ყველაზე მაინც არ შეიძლება. იყო ისეთი ფაქტებიც, რომ სტალინური რეპრესიებგამოვლილი გლეხობის ნაწილი უზარმაზარი რისკის ფასად მაინც ახერხებდა შორითმოსული თანამემამულეების შეფარებასა და გადამალვას, მაგრამ ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა. გერმანული არმიის ავანგარდმა კავკასიის უღელტეხილები ვერ გადმოლახა. ამაოდ ელოდა მაღლაკელიძე კავკასიონის გაღმიდან მშობლიური მხარეების ხილვას. ომი გაიწელა. ამას თან დაერთო სტალინგრადის კატასტროფაც, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ომის ბედიცა და „თამარ I" გადარჩენილი დივერსანტების მომავალიც... სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ისინი საბჭოურ ტყვეობას ვერ ასცდნენ... მათგან ზოგი დახვრიტეს, ზოგიც კი ციმბირში გადაასახლეს. ოპერაციის ჩაშლისა და გერმანული ჯარის უკანდახევის შემდეგ, აბვერის ხელმძღვანელობამ

საბჭოთა ტყვეებიდან „ქართულ ლეგიონში" ახალწვეულთა მიღება

ტაქტიკა შეცვალა და მეორე ქართული 80 კაციანი დაჯგუფება - „თამარ II", სხვა დანიშნულებით გამოიყენა.

ოპერაცია „თამარ I"-მა კი, მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში, სხვა მრავალ, მსგავს უშედეგო ავანტიურისტულ ღონისძიებათა შორის, ერთ-ერთი „ღირსეული" ადგილი დაიკავა. სხვადასხვა ისტორიულმა დოკუმენტებმა ამ „ავანტიურისტთა" სახელები სრულად შემოგვინახეს. აქვე, თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს „თამარ I"-ის მონაწილეთა სია:

<u>I ჯგუფი:</u>

1) ფელდფებელი ედუარდ გერმანი. კრამერის მოადგილე და ადგილზე „თამარ I" უშუალო მეთაური. 9 სექტემბერს იგი წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურში ალყაში მოექცა და მოკლულ იქნა.

2) მეთაურის თანაშემწე, დამნაღმველი ეფრეიტორი ვალტერ ფოიერაბენდი. იგი ჩეკისტებმა შეიპყრეს და დაკითხვისას წამებით მოკლეს.

3) ეფრეიტორი რადისტი ალფონს გრიუნაისი, დესანტირებიდან რამდენიმე დღეში წყალტუბოს მახლობლად ალყაში მოექცა და დაიღუპა).

4) ქართველი ემიგრანტი მათე კერესელიძე (ლეო კერესელიძის ძმის შვილი), ვერმახტის ეფრეიტორი (ფესვდონიმი – „კერესი"). ცაგერის რაიონში უთანასწორო ბრძოლაში დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. 20 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. მრავალი წლის შემდეგ ტყვეობას თავი დააღწია და ევროპაში მშვიდობით დაბრუნდა, სადაც ეს მოვლენები შემდგომ მემუარებში აღწერა.

5) ემიგრანტი დავით ხარისჭირაშვილი, ვერმახტის ეფრეიტორი (ფსევდონიმი „კალენბერგი"). 17 დეკემბერს, ცაგერის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მათე კერესელიძესთან ერთად ალყაში მოექცა და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

6) მეგზური, ვერმახტის ეფრეიტორი სიმონ ლილუაშვილი, ყოფილი წითელარმიელი, ვანის მკვიდრი. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი თავად ჩაბარდა ბოლშევიკებს. მათ კი 10 წლით ციმბირის ბანაკებში გადასახლება მიუსაჯეს ქონების კონფისკაციით. შემდგომი ბედი უცნობია.
7) მეგზური, ვერმახტის რიგითი ჯარისკაცი რუბენ მაისურაძე, ონის რაიონის მკვიდრი, ყოფილი წითელარმიელი. გადაუმოწმებელი ინფორმაციით „ჩეკისტებმა“ შეიპყრეს, მოგვიანებით ციმბირში გადაასახლეს, სადაც სასჯელი მოიხადა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ მშობლიურ რაიონში გარდაცვალებამდე ფოსტალიონად მუშაობდა.

II ჯგუფი:
1) მეთაური – უნტერ-ოფიცერი ფრიდრიხ ბუხჰოლცი. უგზოუკვლოდ დაიკარგა.
2) ჯგუფის მეთაურის მოადგილე, ვერმახტის ეფრეიტორი, რადისტი ერნსტ ჰუბერი. პირველი ხარისხის რკინის ჯვრის მფლობელი. მოგვიანებით „ჩეკისტებმა“ შეიპყრეს და დახვრიტეს.
3) **დამნაღმველი, ეფრეიტორი გეორგ პენკოვსკი.** ჩეკისტებმა შეიპყრეს და დაკითხვის შემდეგ დახვრიტეს.
4) ვერმახტის რიგითი ემიგრანტი გიორგი ივანიძე, ფსევდონიმი „იდო“. **ახალციხის რაიონამდე მიაღწია,** სადაც „ჩეკისტების“ შიშით საკუთარმა ძმამ არ შეიფარა. მძიმედ ავადმყოფი შეიპყრეს. მოგვიანებით „ჩეკისტებმა“ დაკითხვისას წამებით მოკლეს.
5) ვერმახტის ეფრეიტორი ვალერიან (ხუზა) ქოჩაკიძე, ემიგრანტი. ფსევდონიმი „კოხეთი“. შემდგომი ბედი უცნობია.
6) მეგზური, ვერმახტის რიგითი გედევან ახვლედიანი. ყოფილი წითელარმიელი. ცაგერის მკვიდრი. იგი 14 სექტემბერს სოფელ მუცხვათში შეიპყრეს. მასაც ლილუაშვილის მსგავსად 10 წლით ციმბირის ბანაკებში გამოსასწორებელი სამუშაოები და ქონების კონფისკაცია მიესაჯა.
7) მეგზური, ვერმახტის რიგითი ვანო ხიდაშელი (ზოგიერთი ცნობით ხიდიშვილი), ყოფილი წითელარმიელი. შემდგომი ბედი უცნობია.

III ჯგუფი:
1) ჯგუფის ხელმძღვანელი, უნტერ-ოფიცერი ფრიდრიხ ჰელმრაიხი. ზოგიერთი ვარაუდით ბრანდნერთან ერთად ტყვეობას თავი დააღწია.
2) რიგითი რადისტი ფრანც ბრანდნერი. მისი შემდგომი ბედის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება.
3) **დამნაღმველი ეფრეიტორი ჰენრიხ ციპფი.** „ჩეკისტებმა“ შეიპყრეს და დახვრიტეს.
4) ვერმახტის ეფრეიტორი, ემიგრანტი ზურაბ აბაშიძე. ფსევდონიმი „აბახი“.
5) ვერმახტის ეფრეიტორი, ემიგრანტი დიმიტრი ბარტიშვილი. ფსევდონიმი „ბარტი“.
6) ვერმახტის რიგითი ჯარისკაცი, ემიგრანტი მიხეილ ბურძგლა. ფსევდონიმი „ბეკი“. **18 ოქტომბერს** ჭიათურის რაიონში სოფელ ჭალოვანთან შეიპყრეს, მოგვიანებით დახვრიტეს.
7) ვერმახტის ეფრეიტორი, ემიგრანტი არჩილ (კუკური) ქოჩაკიძე, ფსევდონიმი „კოხტ“. 21 დეკემბერს ქუთაისში ძმის ოჯახში დააკავეს. ჯერ 20 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, ხოლო მოგვიანებით კი განაჩენი დახვრეტით შეუცვალეს.

IV ჯგუფი:
1) მეთაური უნტერ-ოფიცერი ფრანც ეგერი. 14 სექტემბერს ცაგერის რაიონის სოფელ მუცხვათში შეიპყრეს. შემდგომი ბედი უცნობია, სავარაუდოდ დახვრიტეს.
2) ჯგუფის მეთაურის თანაშემწე, რადისტი, უნტერ-ოფიცერი ერნსტ კომიანკი. 22 ოქტომბერს ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ბედიასთან შეიპყრეს. მოგვიანებით დახვრიტეს.
3) **დამნაღმველი, ვერმახტის რიგითი ჯარისკაცი** ერვინ ციმერმანი. 18 სექტემბერს ოჩამჩირის რაიონში სოფელ ოტაპთან შეიპყრეს. სავარაუდოდ დახვრიტეს.
4) ვერმახტის ეფრეიტორი, ემიგრანტი ალექსანდრე კანკავა ფსევდონიმი „კლებერგი“. **წალენჯიხის** რაიონში, მშობლიურ სოფელ სერგიეთთან დააკავეს. შემდეგ კი 20 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს.
5) ვერმახტის ეფრეიტორი, ემიგრანტი შალვა მაღლაკელიძე. ფსევდონიმი „კარლი“. **შეიპყრეს** წალენჯიხის რაიონში. მოგვიანებით დახვრიტეს. მისი დიდი სეხნია გენერალი შალვა მაღლაკელიძე შემდგომში იხსენებდა, ეგ ახალგაზრდა რომ დაიღუპა, ახლობლები მგლოვობდნენ, მტრები კი ზეიმობდნენ, მე ვეგონეო.
6) ვერმახტის რიგითი ჯარისკაცი, ემიგრანტი გრიგოლ მიროტაძე. ფსევდონიმი „მირო“. დახვრიტეს.

ქართველები სადაზვერვო მომზადების პროცესში

7) ვერმახტის რიგითი ჯარისკაცი, ემიგრანტი გიორგი თუხარელი. ფსევდონიმი „თუხა“. დაიღუპა წალენჯიხის რაიონში, „ჩეკისტებთან“ უთანასწორო ბრძოლაში.



„თამარ I”-ის ერთ-ერთი დივერსანტი არჩილ (კუკური) ქოჩაკიძე

დღეს ძნელია იმის გათვლა, თუ რა მოელოდა საქართველოს ამ ოპერაციის წარმატებულად დაგვირგვინების, ან თუნდაც ომის სხვა, საპირისპირო შედეგით დასრულების შემთხვევაში (ფაშისტების გამარჯვება მსოფლიოს კარგს რომ არაფერს უქადდა, ეს ისედაც ცხადია), მაგრამ ისიც კარგად უნდა გვესმოდეს, რომ იმ რთულ და აებედით დროში, ორ დამპყრობელს შორის აღმოჩენილი ქართველობა ყველანაირად ცდილობდა ერის საკეთილდღეო, მართებული გზის პოვნას და ამ საქმისათვის ნებისმიერ მდგომარეობაში, სხვადასხვა ფრონტებზე თავგანწირვასაც კი არ ერიდებოდა. ასეთ პირობებში გასაგებიცაა, თუ ქართველს ხან ბოლშევიკურ ჯარში და ხანაც - ფაშისტურში უწევდა სამსახური. გამოჩენილი ფინელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე მანერჰეიმიც გარკვეულ ეტაპზე გერმანელებთან თანამშრომლობდა და საბჭოეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში ვერმახტთან ერთად შეთანხმებულად მოქმედებდა კიდეც, მაგრამ მისთვის, ამის გამო, ცივილიზირებულ სამყაროში ფაშისტი არავის უწოდებია, ის ხომ თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და საბჭოური იმპერიის გარდა, სხვებისათვის ზიანი არ მიუყენებია.

ქართველ ლეგიონერთა (ამ შემთხვევაში, „თამარ I“-ის წევრთა) ჭეშმარიტ მიზნებს ნათელი რომ მოვფინოთ, მათი პატრიოტული განწყობის კიდევ ერთ დადასტურებად, დასკვნის სახით, უცვლელად გთავაზობთ ყოფილი „სუკ“-ის საარქივო ფონდში დაცულ ერთ-ერთი მედესანტის კუკური ქოჩაკიძის საორიენტაციო რუკაზე, უკანა მხრიდან, მის მიერვე შესრულებულ მრავლისმეტყველ ჩანაწერს:

„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, ღირსეულ და მუდამ ვაჟკაც ერს! დიდი ხანია, ვიბრძვი, რომ მე მოვსწრებოდი ამას. ბედმა ეგრე მარგუნა, რომ რამდენიმე ხნით ადრე გავხდი მსხვერპლი. ბედნიერი ვარ, რომ ვკვდები ამ მიზნისათვის! ვუსურვებ ყოველ ქართველს მოსწრებოდეს მრავალტანჯული საქართველოს დამოუკიდებლობას, მზად ყოფილიყოს, რომ მისი მამა-პაპური ანდერძი არ დავიწყებოდეს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!”

კიდევ ერთხელ ქართველ ერს და საქართველოს გაუმარჯოს!

K. Kochakidse”

კახა გოგიშვილი

ჩვენი ჟურნალი აგრძელებს ჟურნალისტთა ძალის გაფართოვებას და ელის ყველა დაინტერესებული პირის გამოხმაურებას საზოგადოებრივ სანქისგზე ჟურნალთან თანამშრომლობის კუთხით.

დაგვიკავშირდით:

qartuli@satvistomo.de

სათვისტომო

გერმანიის ქართული სათვისტომოს არჩევნები

2012 წლის 19 თებერვალს მიუნხენში გერმანიის ქართული სათვისტომოს არჩევნები ჩატარდა. სათვისტომოს წესდების თანახმად, არჩევნები ორ წელიწადში ერთხელ იმართება და მასზე სათვისტომოს გამგეობისა და საკონტროლო კომისიის არჩევა ხდება. სათვისტომოს გამგეობაში შედის სათვისტომოს თავმჯდომარე, ორი მოადგილე, მდივანი და 5 წევრი. საკონტროლო კომისია კი სამი წევრისაგან შედგება. სათვისტომოს წევრებს, რომლებიც სხვა ქალაქებში ცხოვრობენ, შესაძლებლობა მიეცათ წერილობით გამოეხატათ მხარდაჭერა მათთვის სასურველი კანდიდატებისთვის. საარჩევნო კრებაზე მოსულ ამომრჩევლებს კი შეეძლოთ კიდევ ერთხელ გასცნობოდნენ ყველა წარდგენილ კანდიდატს და არჩევნების შემდეგ გამართულ შეხვედრაზეც მიეღოთ მონაწილეობა.

საარჩევნო ბიულეტენის კონსტრუქციიდან გამომდინარე გამგეობის წევრთა კანდიდატთა სიაში შესულ ნებისმიერ მონაწილეს ჰქონდა შესაძლებლობა, საკმარისი ხმების მიღების შემთხვევაში, გამხდარიყო სათვისტომოს თავმჯდომარე. ხმათა უმრავლესობით სათვისტომოს თავმჯდომარედ მომდევნო ორი წლით დოქტორი ლერი დათაშვილი იქნა არჩეული, ხოლო სათვისტომოს თამჯდომარის მოადგილეებად

საორგანიზაციო და ფინანსურ საკითხებში პარმენ მიქაძე და თინათინ ჩითინაშვილი. სათვისტომოს მდივნის ფუნქცია ახლადარჩეულმა გამგეობამ ნინო ხაბელაშვილს დააკისრა. გამგეობაში კი ასევე არჩეულ იქნენ: გიორგი ქობულაშვილი, მამუკა ნარსია, მანანა მიქაძე, მანანა სამუშია და ნანა გობეჩია.

სათვისტომოს გამგეობასთან ერთად, მნიშვნელოვანი ფუნქცია საკონტროლო კომისიასაც ეკისრება, რომლის წევრებიც მომდევნო არჩევნებამდე გახდნენ: გიორგი გოგიშვილი, დიმიტრი შოიფლერი და მედეა პაიკიძე-რიტი.

გერმანიის ქართული სათვისტომოს გამგეობისადა საკონტროლო კომისიის განახლებულმა შემადგენლობამ და წევრებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი მზადყოფნა ემსახურონ ქართულ საქმეს საზოგადოებრივ საწყისებზე, ხელი შეუწყონ, როგორც ქართული კულტურის პოპულარიზაციას გერმანიაში და გერმანელების საქართველოსადმი დაინტერესების გაზრდას, ასევე ქართველების ინტეგრირებას გერმანიაში. შეინარჩუნონ არაპოლიტიკური საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი და მრწამსი, ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის საჭირო პროექტების განხორციელებას.

თინათინ ჩითინაშვილი

შეიცვალეთ საკვირაო სკოლის

საახალწლო ჩიბების

ფოტო-ტრამტრაქი



ქართველებს ტყვიის სროლაში წარმატების მისაღწევად მებრძოლი სული შველით

ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც ჰელსინკში თებერვალში გაიმართება, საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრები გერმანიაში მოემზადა. ქალაქ მიუნხენში სავარჯიშოდ ჩამოსულ მსროლელებს ქართული სპორტის ქომაგთა კლუბმა „ოვერიელმა“ შეხვედრა სთხოვა. დატვირთული რეჟიმის მიუხედავად, მათ დრო მაინც გამონახეს და ქართული სპორტის ქომაგებს ლამაზი საღამო აჩუქეს. შეხვედრას ოლიმპიური ჩემპიონი – ნინო სალუქვაძე, მწვრთნელი – ვახტანგ სალუქვაძე, ორი ოლიმპიადის მონაწილე – ნინო უჩაძე, ლევან ქადაგიძე და ახალგაზრდა სპორტსმენები – ომარ სანოძე, მარიამ გულაშვილი, ანა გაგილაძე და ნინო ფანჩულიძე ესწრებოდნენ.

ნინო სალუქვაძეს, თურმე, მარტო სროლის კი არ ესმის კარგად, არამედ სამშობლოდან შორს მყოფი ქართველებისაც: „ოცდაათი წელია ამ სპორტში ვარ და ორი კვირის მეტი თუ გავჩერდი სადმე, საქართველოს გარეთ, უკვე ძალიან მიჭირს. კარგად მესმის მათი, ვისაც დიდი ხნით უწევს სამშობლოს გარეთ ყოფნა. თქვენთვის თითოეული საქართველოდან ჩამოსულის ნახვა ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან გვიხარია თქვენთან შეხვედრა, მითუმეტეს, თუ ჩვენ ამით შეგვიძლია ოდნავ მაინც შეგიმსუბუქოთ აქ ყოფნა და დადებითი ემოცია გაჩუქოთ. ეს, რა თქმა უნდა, ვერ გაგიქრობთ ნოსტალგიას, მაგრამ იმედია ცოტათი შეგიმსუბუქებთ.” არაოფიციალური ფორმატით გამარულ საღამოზე, სპორტთან ერთად სხვა ბევრ თემასაც შეეხნენ დამსწრეები, თუმცა, ინტერესის ცენტში სროლა, ახალგაზრდა მსროლელები და ტყვიით სროლის ბედი იდგა.

- ქალბატონო ნინო, თქვენ არა მარტო ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მფლობელი ხართ, არამედ ოლიმპიური ჩემპიონიც. რა ემოცია გქონდათ, როცა ეს ტიტული მიიღეთ?

- არის სპორტის სახეობები, სადაც ოლიმპიური თამაშები არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ეს სროლაშია. ასეთებია: ფეხბურთი, ჩოგბურთი და კიდევ ბევრი სხვა. იქ სხვა კრიტერიუმებია. მაგრამ ჩვენი სპორტის სახეობისთვის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობაც კი უკვე ძალიან მნიშვნელოვანი რამაა. არა მარტო მონაწილეების რაოდენობაა შეზღუდული, არამედ იქ მოსახვედრადაც დიდი ბრძოლაა საჭირო. გარდა ამისა, უნდა აიღო ლიცენზიები, რაც ჩვენი სპორტის სახეობებში ძალიან რთულია. ოლიმპიურ თამაშებზე რომ მოხვდები და ამასთანავე იმის შესაძლებლობა გეძლევა რომ ასახელო შენი ქვეყანა, ძალიან დიდი ემოციაა. მართალია, მე დიდი ხანი მომიწია საბჭოთა კავშირის სახელით გამოსვლა, მაგრამ იქ მაინც საქართველოს წარმომადგენლები ვიყავით. მოგებული მედალი საქართველოს ეთვლებოდა და არავითარ შემთხვევაში სხვას. თუმცა ჩემთვის 2008 წელს პეკინში მოპოვებული ბრინჯაოს მედალი უფრო დიდ ემოციებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ოცი წლის წინ მოპოვებული ოქროს და ვერცხლის მედლები.

- იქნებ ამის შესახებაც გვიამბოთ. ცნობილია, რომ თქვენი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღება ბოლო წუთამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა და შემდეგაც დიდხანს იყო საუბრის თემა.

- რთული დრო იყო. ქმარი ომში იყო, ბავშვები არ

საქართველოს ტყვიის მსროლელთა ნაკრები

ვიცოდი სად იყვნენ, ბოლომდე არ იყო გადაწყვეტილი დავრჩებოდით თუ არა ოლიმპიადაზე. ისტორიულად ასე იყო ყოველთვის, რომ ოლიმპიური თამაშების დროს ყველა ომი ჩერდებოდა, მეფე და მონა ერთი დონის ხდებოდა. ირანი და ერაყი, რომლებიც ამდენი წელი ომობდნენ, ისინიც კი ჩერდებოდნენ და ჩემს ქვეყანაში ომი ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს დაიწყო. მე ვერ გადმოვცემ რას განვიცდიდი მაშინ. როდესაც მორჩა თამაში და გამოაცხადეს, რომ მესამე ადგილი ავიღე, უკვე ვეღარ შევიკავე ცრემლები და ავტირდი. ყველას ეგონა, რომ გამარჯვება მიხაროდა. ეს იყო ის ემოცია, რასაც მე მთელი ამ დროის განმავლობაში ვზღუდავდი ჩემს თავში, რომ გამეძლო იმ დღეებში. ბოლოს ამოხეთქა. ჩემს მიმართ დიდი დაინტერესება იყო, როიტერის და

ნინო სალუქვაძე

BBC ის ჟურნალისტები მოვიდნენ პრესკონ-ფერენციაზე და არც ჩინელს, არც რუსს არაფერს ეკით-ხებოდნენ. ყველა ჩემსკენ იყო მომართული. ჩემს გრძნობებზე და განცდებზე რომ ვყვებოდი პრესკონფერენციაზე, ხალხს ცრემლები ედგა თვალებში. ვხედავ ვიღაც ბიჭი ტირის. მერე გავიგე, რომ უნგრელი კორესპონდენტი იყო. იმდენად გადავეცი ეს ემოცია, რომ ხალხი მართლა ტიროდა. მერე კიბეზე მომდევდნენ და მეძახდნენ, ნინო ჩვენ გვიყვარს თქვენი ქვეყანა, ჩვენ თქვენთან ვართო. თურქეთის სახლი იყო საქართველოს სახლის გვერდით. მათი მწვრთნელი მოვიდა თავის სპორტსმენთან ერთად, თუ რამე დაგჭირდათ, იცოდეთ, რომ მთელი თურქეთის ნაკრები თქვენთს გვერდითაა. ასე რომ, ყველა ჩვენი საქმით, ვისაც რა შეგვიძლია უნდა მივეხმაროთ ჩვენს ქვეყანას. პირველი დავალება ჩვენი ამ ქვეყნად მოვლინების, ალბათ, ეს არის.

- მიუხედავად თქვენი ამ კიდევ ერთი წარმატებისა ტყვიით მსროლელებს ბევრი პრობლემა აქვთ საქართველოში და თუ არ ვცდები, თბილისის და ქუთაისის გარდა არსად არ არის შესაძლებელი ამ სპორტის სახეობაში მომზადება.

ვახტანგ სალუქვაძე: მოგესლმებით ყველას. მიხარია, რომ ასე ზრუნავთ ქართველებზე და ქართველებთან შეხვედრაზე და აფასებთ ჩვენს ამაგს. რაც შეეხება ტყვიის სროლას, ის საქართველოს ყველა სოფელში არის ძალიან პოპულარული, განვითარებული და მაღალ დონეზე აყვანილი, ეს რა თქმა უნდა ხუმრობით.

ნინო სალუქვაძემ უკვე მეშვიდედ მოიპოვა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ლიცენზია. ოლიმპიადა არის წელს და სად უნდა მოემზადოს ნინო ჯერ არ ვიცით. არცერთი ღია სასროლეთი არ გვაქვს საქართველოში. გვაქვს მოლაპარაკებები სომხეთთან, რადგან მათ არაჩვეულებრივი ბაზა აქვთ, წინა ოლიმპიადისთვის მათთან ემზადებოდა ნინო. ჩვენთან კი მსგავსი არაფერია, სადაც ან ნინო, ან ბავშვები გაივლიან საჭირო წვრთნებს. გერმანიაში ნებისმიერ სოფელშია უკეთესი ტირი, ვიდრე ეს თბილისში და ქუთაისში გვაქვს. გერმანია ძალიან მოწესრიგებული ქვეყანაა და მათ ჩვენ ვერ შევედრებით, თუმცა გულდასაწყვეტია, რომ საქართველოში ამ სპორტის განვითარებას ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა.

- რატომ არ გაქვთ პირობები საქართველოში და რატომ არ ეწყობა თქვენს სპორტს ხელი? აქვს ამას კავშირი თქვენს და რუს ნატალია პადერინას მეგობრულ გადახვევასთან 2008 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, საქართველო რუსეთის ომის დღეებში? ეს საკითხი ძალიან მწვავედ განიხილებოდა იმ დროს საქართველოში და ამბობდნენ, რომ მთავრობა გულმოსულიც იყო თქვენზე.

- ეს მოდი მათ ვკითხოთ, რატომ გააკეთეს ეს და რანაირად გაიგეს ჩემი და ნატალიას გადახვევა. საქართველოში რომ ჩავედი, მადლობას მიხდიდნენ. მე აზრადაც არ მომივიდოდა, რომ ამას სხვა დატვირთვა ჰქონდა. ერთი მანდილოსანი ვიყავი, რომელმაც ოლიმპიადაზე მედალი აიღო ხუთი მამაკაცის გვერდით. მე არსად არ მიმიწვიეს, არანაირ მიღებაზე, ვთქვი კიდეც, რომ ერთი ყვავილი დაენანათ, სხვა რამეს ხომ არ ვითხოვ-მეთქი. ჩოხოსნებმა დამპატიჟეს, საპატიო წევრად დამნიშნეს და მაჩუქეს მარმარილოს ფხვნილით გაკეთებული დიდი ვარდები.

მე პირადად არავის წინააღმდეგ არ მინდა არაფრის თქმა, მაგრამ გედევანიშვილმა მეხუთე ადგილი ფიგურულ სრიალში ევროპაში რომ აიღო, მისი სახელობის მოედანი გახსნეს. მე არ მინდა არც ჩემი სახელობის მოედანი, არც სხვა რამე, ოღონდ არ მოკვდეს ეს სპორტის სახეობა და ჰქონდეთ ბავშვებს საშუალება, რომ ელემენტარული წვრთნები გაიარონ. ყველასთან მქონდა ამ თემაზე საუბარი, ბაქრაძიდან დაწყებული საკაშვილით დამთავრებული. იმასაც აღვნიშნავ ხოლმე, რომ შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანაა და იქ სროლა ნაციონალური სპორტის სახეობაა. მათ ორ საათში 2000 რეზერვისტი გამოჰყავთ. ყველა ახალგაზრდა, ვინც სამი თვე მაინც ივლის ამ სპორტზე მომზადებულია ჯარისთვის. ჩვენ ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, ყველა მხრიდან მტრები გვყავს, თავის დასაცავად მაინც უნდა იცოდეს ხალხმა სროლა, მე არ ვამბობ თავდასასხმელად. ატომურ ბომბებს იგონებენ და ამბობენ თავდასაცავად გვინდაო, და ჩვენ ამაზე ვამბობთ უარს? ჯარში რომ ახალგაზრდა მიდის, მან თუ სროლა იცის და იარაღი სჭერია ხელში, თავისიანს მაინც არ გაარტყამს ზურგში. მიხედავ ფიზიკურ მომზადებასაც და უკვე მზადაა ჯარისკაცი. ამ კუთხით მაინც ხომ უნდა იყოს ტყვიით სროლა საინტერესო ჩვენი დღევანდელი

მწვრთნელი
ვახტანგ სალუქვაძე

მთავრობისთვის? ამაშიც ვერ დავარწმუნე. ყველა თავს მიქნევს, მაგრამ ჯერჯერობით არცერთი ჩემი თხოვნა არაა შესრულებული.

- მიუხედავად ამისა, ჩვენ გყავს ოლიმიური ჩემპიონი საქართველოში და სხვა ბევრი წარმატებული მსროლელი, რას მიაწერთ ამას?

- რამდენიმე წლის წინ საფრანგეთში ტარდებოდა ევროპის ჩემპიონატი. იქიდან მოწვევა რომ მოვიდა გვწერდნენ – ჩვენთან 170 000 კაცია ამ სპორტის სახეობაში და თქვენთან რამდენიაო? ჩვენ გადავხედეთ, გადმოვხედეთ, მივთვალეთ, მოვთვალეთ, გუშინ მოსულებიც მივათვალეთ და მივწერეთ 80 კაცი ვართო. პასუხი რა მოვიდა არ იცით? ალბათ, ნულის დაწერა დაგავიწყდათო. ევროპის ჩემპიონატზე ჩასულებმა, ახალგაზრდებმაც და დიდებმაც მოუგეთ საფრანგეთის გუნდს. ხომ არის ეს პარადოქსი? მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს მებრძოლი სულის დამსახურებაა.

- აქ მყოფებს შორის გოგონები ჭარბობენ. ასეთი თანაფარდობაა რეალურადაც, რომ უფრო მეტად გოგონები არიან ტყვიით სროლით დაინტერესებულები, ვიდრე ვაჟები?

- ჩემთან გოგონებიც ბევრნი მოდიან და ვაჟებიც, მაგრამ ტყვიის სროლაზე პროცენტულად გოგონების მხრიდან უფრო დიდი მოთხოვნაა. პრობლემატური, როგორც უკვე აღვნიშნე, სხვა რამეა – ვარჯიშის საშუალება არა აქვთ დაინტერესებულებს. მე თვითონ გავაკეთე ხუთადგილიანი ტირი, ის გვაქვს მხოლოდ დღესდღეობით. კიდეც რომ დაინტერესდეს მეტი ახალგაზრდა, სად უნდა მივიდნენ და ივარჯიშონ? გარდა ამისა, მსროლელს თავისი იარაღი უნდა ჰქონდეს. ფიზიკურად არ ყოფნის ჩვენი იარაღი იმ მოთხოვნას, რაც ამ სპორტშია. ეს სპორტის ის სახეობა, რომელსაც ნიჭის მიხედვით ვერ აირჩევ. პირადად მე ორი წელი დამჭირდა ამ ნიჭის გამოსავლენად. მინიმუმ ორი წელი უნდა ავარჯიშო ადამიანი, რის შემდეგაც ნიჭი ან გამოვლინდება ან არა.

- კიდევ რამე განსაკუთრებული კრიტერიუმი არსებობს, რაც უნდა გააჩნდეს დამწყებ მსროლელს?

ნინო სალუქვაძე: ნებისყოფა და შრომის-მოყვარეობა.

ვახტანგ სალუქვაძე: არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – დაფინანსება. ბავშვი უნდა დაინტერესო რომ სპორტის ამ სახეობას გაჰყვეს. ბევრს ვასწავლეთ სროლა, მაგრამ დაანებეს შემდეგ თავი. დაამთავრეს სკოლა და სხვა პროფესია აირჩიეს, რადგანაც ჩვენ მათ პერსპექტივა ვერ დავანახეთ. თუ არ წაიყვანე შეხვედრებზე და ხელფასი არ მიეცი, ვინ შეძლებს

სათვისტომოს თავმჯდომარე ლერი დათაშვილი და ნინო სალუქვაძე

გაჰყვეს ამ სპორტს? მერე ისევ ახლებს ვასწავლით, მივიყვანთ გარკვეულ დონემდე და შემდეგ ისინიც მიდიან.

- ქალბატონო ნინო, თქვენ თვითონ როგორ მიაღწიეთ ასეთ წარმატებას ტყვიით სროლაში, თქვენს დროს იყო საქართველოში უკეთესი საწვრთნელი ბაზები?

- მე საბჭოთა კავშირის დროს დავიწყე ვარჯიში და მაშინ უამრავი ბაზა იყო. ომის დროს დაინგრა და გაიძარცვა ყველაფერი და შემდეგ აღდგენა აღარ მოხერხდა. ვის ეცალა სპორტისთვის 90-იან წლებში? ახლა ვიწყებთ ისევ აღდგენას, 15 წლის განმავლობაში არაფერი არ მომხდარა. ჩვენს მთავრობას უნდა რომ ერთ წელში ევროპის და ოლიმპიური ჩემპიონები გაიზარდნონ, მაგრამ ესე არ ხდება. ამას დრო უნდა. სახელმწიფო გვაფინანსებს, მაგრამ გვაქვს ძალიან შეზღუდული ბიუჯეტი სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით. ჯერ მარტო იარაღი და ტყვიები ღირს ძალიან ძვირი. მეუბნებიან, რომ როცა გექნებათ შედეგი მერე დაგაფინენსებთო. საიდან უნდა მივიღოთ ეს შედეგი, თუ ბავშვები ვერ ვავარჯიშეთ? მეშვიდე ოლიმპიადაა, მერვე მთავრობას ვიცვლით და ყველასთან ერთსა და იმავეზე ვსაუბრობთ, შედეგი კი არ არის.

საღამო ოპტიმისტურ განწყობაზე ვახტანგ სალუქვაძემ დაასრულა: „მაინც მინდა გითხრათ, რომ ჩვენს ქვეყანაზე უკეთესი ქვეყანა არსად არ არსებობს. ჯერ მარტო ჩვენი ტრადიციები რად ღირს. სხვა ყველა ხალხი თუ სტუმართმიმღებია, ჩვენ სტუმართმოყვარეები ვართ. ცეკვა, სიმღერა, ქალების მიმართ პატივისცემა რა სიმაღლეზეა აყვანილი. მე იმის თქმა მინდა, რომ რამდენად კარგი ცხოვრებაც არ უნდა გქონდეთ აქ, მაინც საქართველოში უნდა დაბრუნდეთ.“

მოამზადა
თინათინ ჩითინაშვილმა

გიორგი მაჩაბელი სუნამოების პრინცი

1955 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი (1921-1939) და მეორე ტალღის (1945-1950) ქართველ ემიგრანტთა რიცხვი 300-ს არ აღემატებოდა, თუმცა ამ მცირე დიასპორამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამერიკის სამხედრო თუ სამოქალაქო ცხოვრებაზე. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ის ქართველები, რომლებმაც ამერიკას ხუთი დარგი შეუქმნეს: გრიგოლ კობახიძე (ჯორჯ კობი) - სამედიცინო მინის მრეწველობა და ნაძვის ხის მინის სანთლები და სათამაშოები; ალექსანდრე ქართველიშვილი (ალექსანდრ კარტველი) - სამხედრო ავიაცია; გიორგი ბალანჩივაძე (ჯორჯ ბალანჩინი) - ბალეტი; გიორგი მაჩაბელი (პრინცი მაჩაბელი) - პარფიუმერია.

ამჯერად გიამბობთ ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწისა და დიპლომატის, გიორგი მაჩაბლის ღვაწლის შესახებ.

„იყო და არა იყო რა! იყო ერთი პრინცი. მან თავისი სატრფო პრინცესასთვის შესანიშნავი სუნამო შეაზავა და ამის შემდეგ ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ... ეს სიტყვები ზღაპარივით ჟღერს, მაგრამ ზღაპარი სულაც არ გახლავთ. ესაა ნამდვილი ამბავი პრინც მაჩაბლისა და დიდი პარფიუმერიული საზოგადოებისა, რომელიც მან დააარსა აქ, შეერთებულ შტატებში 1920-იანი წლების დასაწყისში“, - ასე იწყებოდა სტატია ერთ-ერთ ამერიკულ ქალთა ჟურნალში.

შემდეგ ჟურნალი მკითხველს აცნობდა პრინცის წარმომავლობას. ის „იყო უფროსი ვაჟი ერთი კეთილი და წარჩინებული ოჯახისა საქართველოში, კავკასიის მაღალ მთებში. ვინაიდან ეს სათავადო სახლი იყო მდიდარი და ჰქონდა დიდი ადგილ-მამული, პრინცი გიორგი განათლების მისაღებად ბერლინის სამეფო აკადემიაში გაგზავნეს, რათა სამთამადნო საქმე შეესწავლა... სტუდენტობის დროს ერთ-ერთი მისი თავშესაქცევი ჰობი სუნამოების შეზავება გახლდათ. ამ გასართობმა კი მას დიდი სიმდიდრე შესძინა“.

ვინ იყო ეს ზღაპრული პრინცი და რა სუნამოები შეაზავა, რომელმაც მას დიდი ქონება მოუტანა?

ქართველ მანდილოსნებს ქართულ ბაზარზე, ალბათ, უნახავთ პარფიუმერიული ნაწარმი, წარწერით Prince Matchabelli, ინტერნეტმაღაზიებსა და კატალოგებში კი თვალს მოგტაცებთ ულამაზესი ჯვრიანი ფლაკონები. ბევრისთვის უცნობია, რომ ამ ფირმის ფუძემდებელი შექსპირის მთარგმნელ ივანე მაჩაბლის უფროსი ძმის, ვასილის ვაჟი გიორგი მაჩაბელია.

გიორგი 1885 წელს დაიბადა. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ბერლინს გაემგზავრა. სამთო აკადემია დაასრულა და მსოფლიოს გარშემო გაეშურა სამოგზაუროდ. შვედეთში გაიცნო გასტროლებზე მყოფი იტალიელი მსახიობი, მშვენიერი ნორინა ჯილი (მარია კარმი), რომელსაც დიდი წარმატება მოუტანა მადონას როლმა მაქს რეინოლდსის რელიგიურ პიესაში „სასწაული“. გიორგიმ ნორინას სიყვარული იმით დაუმტკიცა, რომ უმცირეს დროში შეისწავლა იტალიური და მალე იტალიელთა სიძეც გახდა, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე თავგადაკლულ ნაციონალისტად დარჩა. გრიგოლ რობაქიძეს მასზე უთქვამს: „გიორგი ათას საბანში რომ ჩაახვიო და სადმე დამალო, ვინც იქ მივა, მაშინვე შეიტყობს, - აქ საქართველოს სუნიაო!”

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გიორგი ყველაზე სახიფათო და რთული დავალებების შესრულებისას არაჩვეულებრივ ნიჭსა და უნარს იჩენდა. თამამად გადადიოდა ერთი ქვეყნიდან მეორეში. მოლაპარაკებებს ხან მთავრობის წევრებთან მართავდა, ხანაც რევოლუციონერებთან და ყველაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

პირველმა მსოფლიო ომმა გიორგის ბელგიაში მოუსწრო. გენერალ-გუბერნატორ ფონ დერ ჰოლცს გერმანიის დახმარებით საქართველოს გათავისუფლების გეგმა გააცნო და იმდენად მოხიბლა, რომ თავისი ავტომობილით გაუშვა ჰაიდელბერგში მიხაკო წერეთელთან. შემდგომ ორივემ ბერლინს

გიორგი მაჩაბელი

მიაშურა, სადაც შეუერთდნენ ჟენევიდან გადასულ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“. გერმანელებიც ეძებდნენ გავლენიან პარტიას ან ჯგუფს, რომელიც მხარს დაუჭერდა გერმანიის პროტექტორატით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეას. შეთანხმება დაიდო - დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში გერმანია გარანტად დაუდგებოდა საქართველოს და დაიცავდა, ოსმალეთი კი აღიარებდა მის ისტორიულ საზღვრებს. დამოუკიდებლობის კომიტეტმა 1915-16 წლებში ტრაპიზონში შექმნა გერმანიის მიერ დაფინანსებული ქართული ლეგიონი.

ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული გაზეთი“ ტყვეთა შორის პროპაგანდას უწევდა დამოუკიდებლობის იდეას. კომიტეტი საქართველოში დაუკავშირდა ეროვნულ-დემოკრატებს, ვაჩნაძე-კედია-გაბაშვილის ჯგუფსა და სოციალ-დემოკრატთა ნაწილს ნოე ჟორდანიას მეთაურობით. შეიქმნა ინტერპარტიული „ქართული ეროვნული კომიტეტი“, გიორგი მაჩაბლის ჩამოსვლის შემდეგ - „დამოუკიდებელი კომიტეტის“ ფილიალი. მაჩაბელი აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიასაც დაუკავშირდა. საზღვარგარეთ და საქართველოში მოღვაწე დამკომის წევრთა შორის კავშირის ერთადერთ საშუალებად გერმანული წყალქვეშა ნავები დასახა. მერე ძმის სანახავად და საქმეების მოსაგვარებლად პეტერბურგს გაეშურა, თუმცა ყველგან დაგზავნილი იყო მისი ფოტოსურათები, როგორც „გერმანიის აგენტისა“. რევაზ გაბაშვილი აღწერს შემთხვევას, როცა კავკავის სასტუმროში პრისტავმა მაჩაბელს პოლიციაში წაყოლა მოსთხოვა. გიორგიმ რადიკალურ, მაგრამ უტყუარ ზომას მიმართა: „ან 25 მანეთი აიღე, ან ეხლავე გაგათავებო და რევოლვერი დაუმიზნა“. პრისტავმა ფული აიღო და წავიდა.

გიორგიმ ჩვეული მოხდენილობით შეათანხმა გერმანიის საზღვაო-სამხედრო შტაბებთან წყალქვეშა ნავებით სტამბოლიდან საქართველოსთან დაკავშირების საქმე. 1916 წელს წყალქვეშა ნავით გამოგზავნა სამი კაცი: ახალგაზრდა ოფიცერი ლადო მძინარიშვილი, სოციალ-დემოკრატი კერესელიძე და მთიელი შამილი. ერთი თვის შემდეგ მეორე ექსპედიციას გიორგი მაჩაბელიც ჩამოჰყვა. რეზო გაბაშვილი მოგვითხრობს, რომ მოუსვენარი გიორგი ხან სიონში წავიდა სალოცავად, ხან მამიდის სანახავად, ხან ჩამოყვანილ ამაშუკელთან. „რუხი ჩოხით გამოწყობილი გიორგი ისე დაიარებოდა, თითქოს არაფერი ამბავი ყოფილიყოს და როცა ვეუბნებოდი, - კაცო, შენი თავი თუ არ გებრალება, ჩემს ცოლ-შვილს უნდა გაუფრთხილდე, შენ თუ ჩავარდი, ჩვენ ყველას დაგვახრჩობენ-მეთქი, არხეინად მიპასუხებდა: „ნუ გეშინია, მე სხვანაირი ბედი მაქვსო“. თბილისში ასე თამამად სიარულის მერე სოფელში ძმას ჩააკითხა. საქმეები მოაგვარა და ბაქოს გზით წავიდა. „რამდენიმე კაცმა შორიახლოდან გავაცილეთ და სანამ მატარებელი არ დაიძრა, გული გულის ალაგას არ ჩაგვდგომია“.

გერმანიის ხელისუფლებასთან შეთანხმებით ახალი ექსპედიციები მომზადდა. პირველ ექსპედიციაში, რომელიც წყალქვეშა გემით შემოვიდა საქართველოში, შედიოდნენ: გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, ვლადიმერ მძინარიშვილი, ჩეჩენი ჰაზავათი, აზერბაიჯანელი სელიმ ბეი ბებუთოვი, რამდენიმე ქართველი ოფიცერი და ლეგიონის უნტერ-ოფიცერი. „ჯერ სხვები ჩავიდნენ ნავში რიგ-რიგობით და საკმაოდ კარგი, წყნარი განწყობილებით. მეტ-ნაკლებად ოდნავი ღელვა ყველას ეტყობოდა. არ ღელავდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც გამოცდილი ჰქონდათ ამგვარი მოგზაურობა. ბოლოს ჩავიდა ქარცივაძე. დავრჩი მარტო მე. უცებ ამიტანა მოულოდნელმა შიშმა. უკან დავიწიე და უარი ვთქვი, ისე, რომ დავაპირე წასვლა. ამ დროს სახეშეცვლილმა გიორგი მაჩაბელმა დააძრო რევოლვერი და ჩემთვის სრულიად უცნობი, მანამდე განუცდელი ხმით მითხრა: ჩადი, თორემ აქვე დაგაწვენ! ეს ისეთი მტკიცე გადაწყვეტილებით იყო ნათქვამი, ის ნამდვილად მომკლავდა. მე სწრაფად ჩავირბინე და შევუერთდი სხვებს”, - წერდა მიხაკო წერეთელი.

მეორე ექსპედიციამ (მიხაკო წერეთელი, მ. ქარცივაძე, გვიშიანი, კერჩი და აზერბაიჯანელი) დიდძალი იარაღი და ფული შემოიტანა. მესამე ექსპედიციაში შედიოდნენ: პეტრე სურგულაძე, შალვა ვარდიძე, სულეიმან ირემაძე, ვლადიმერ სიამაშვილი, ერთი ქართველი და ორი გერმანელი მეზღვაური. 1916 წელს ერთ-ერთი ექსპედიციის დროს გერმანელთა წყალქვეშა გემი იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო. გზად შეხვდა ბათუმისკენ მომავალ გემ-ჰოსპიტალ „პორტუგალს”, რომელსაც იარაღით დატვირთული დიდი ნავი ჰქონდა გამობმული. „წყალქვეშამ ნაღმით ჩასძირა ორივენი; და შეიძლება

ნორინა ჯილი

არც ღირებულიყო „მსოფლიო“ ომის ასეთ მცირე მოვლენაზე ლაპარაკი, რომ ამ გემ-ჰოსპიტალზედაც და ამ წყალქვეშაშიაც ქართველები არ ყოფილიყვნენ. გემთან ერთად დაიღუპა ქართველი მოწყალების და ანეტა ანდრონიკაშვილი და

წყალქვეშაში, გერმანელებთან ისხდნენ შალვა ვეძე და სხვა ქართველები, გულ-დაკოდილნი, რომ ძლივს ეღირსათ სამშობლოს ნაპირებთან მისვლა და უკან მოუხდათ დაბრუნება“, - მოგვითხრობს რეზო გაბაშვილი.

გიორგი იყო გერმანელი პრინცის, კაიზერ ვილჰელმ II-ის უმცროსი ვაჟის იოახიმისა და ქართველი პრინცესას დაქორწინებით (გერმანული დინასტიით სათავეში) ქართული მონარქიის აღდგენის მომხრე. კანდიდატიც შერჩეული ჰყავდა - საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, ეროვნულ-დემოკრატ მიხეილ (მიშო) მაჩაბლის ულამაზესი ქალიშვილი მარინა. მაგრამ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფო აღდგა, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა და ეს საკითხი აღარ დასმულა. 11 ნოემბერს გერმანული მონარქია დაემხო, პრინცმა იოახიმმა ჰოლანდიაში დაიდო ბინა, მარინა მაჩაბელი კი იტალიის კონსულს ფრანზონის გაჰყვა ცოლად და რომში დასახლდა.

დამოუკიდებლობის წლებში გიორგი იყო იტალიაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი. მას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო სამთავრობო წრეები, არამედ ოპოზიციაც. აქტიურად თანამშრომლობდა იტალიურ პრესასთან.

ოკუპაციის შემდეგ იტალიაში უსახსროდ დარჩენილი ოჯახის ფეხზე დასაყენებლად ნორინა სცენას დაუბრუნდა. ამერიკელმა რეჟისორმა მორის გეტმა იგი ნიუ-იორკში მიიწვია, სადაც ხელახლა დადგა „სასწაული“. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ სპექტაკლი ათასჯერ წარმოადგინეს.

1922 წელს გიორგიმაც გადაწყვიტა ამერიკაში გადასახლება. ორი წლის შემდეგ კი ნიუ-იორკში გახსნა ანტიკვარული მაღაზია „წითელი და შავი“ და სახელი მალე მოიხვეჭა. ამასთან, არ ივიწყებდა თავის ძველ გატაცებას - სუნამოების შეზავებას. მალე აღმოაჩინა, რომ მის მუშტრებს სუნამოები უფრო აინტერესებდათ, ამიტომ ანტიკვარიატზე ხელი აიღო. პარიზში პარფიუმერიის სპეციალიზებულ მაღაზიაში მიღებული გამოცდილების შემდეგ, 1926 წელს გახსნა საკუთარი კომპანია, რომელიც ოთხი წელი ფართოვდებოდა და პრესტიჟული ხდებოდა. იგი თვითონვე ქმნიდა, ამზადებდა, აფორმებდა სუნამოებს და რეკლამასაც თვითონ უკეთებდა.

ძნელია თქმა, სად უფრო მიაღწია წარმატებას, მაგრამ მიგნება - მაჩაბლების საგვარეულო გერბზე გამოსახული ოქროსვარაყიანი სამეფო გვირგვინის გამოყენება გაფორმებისთვის - ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა. საქართველოს არშემდგარი დედოფლის, მარინა მაჩაბლისადმი მიძღვნილმა სუნამომ „საქართველოს დედოფალი“, ჯვრიანი ოქროს გვირგვინის ფორმის ფლაკონით, ამერიკელი საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. მალე მას მოჰყვა მეუღლისადმი მიძღვნილი სუნამო „პრინცესა ნორინა“, ინგლისელი ლამაზმანის სახელობის სუნამო „დუშეს ოფ იორკს“, სუნამო „ოქროს შემოდგომა“, სააბაზანო ზეთი „აბანო“, ოდეკოლონი „ქარის სიმღერა“, დაპრესილი პუდრი და პომადა. მათ ასევე ამშვენებდა „პრინც მაჩაბლის გვირგვინი“ - მისი საფირმო ნიშანი.

მშვენიერი სარეკლამო განცხადებები, რომელსაც გიორგი ადგენდა, მისი თეორიების შესანიშნავ დასტურს წარმოადგენს: „აბანო“ პრინცი მაჩაბლის ზეთი, მცირე რაოდენობით ჩასხმული თბილ წყალში, არაჩვეულებრივ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ორგანიზმის მიერ თანდათანობით შეწოვის შემდეგ, თქვენ რამდენიმე საათით ჩაიძირებით ამ აღმოსავლურ არომატში. გამოძებნეთ დრო - ისიამოვნოთ ამ ფუფუნებით. ის აგიმაღლებთ განწყობას, მოგიხსნით დაღლილობას, გაგანებივრებთ და მოგესიყვარულებათ. როცა საღამოს ხანგრძლივი დროით სადმე წაბრძანდებით, მისი წყალობით გარშემორტყმული იქნებით ჯადოსნური აურით ($1.50)“; „ოქროს შემოდგომა“ პრინც მაჩაბლის სუნამო - ეს არის ძალიან თანამედროვე, კოჭას (იმბირის) სურნელის მქონე გამორჩეული და აღმაფრთოვანებელი სუნამო.

თუ გსურთ იყოთ მისი სახელის მსგავსად საუკეთესო, იპკურეთ ამაყად და სიამოვნებით. ის იქნება საწინდარი ყოველივე არაჩვეულებრივის. დაიწვეთეთ რამდენიმე წვეთი მაჯებზე, იდაყვებზე, ყელთან, ყურების უკან. ეს არის სუნამოს ხმარების ყველაზე სწორი წესი, რათა სურნელი კარგად იგრძნობოდეს ($4.00)“. ფლაკონები ჯერ გერმანული ფაიფურისგან იქმნებოდა, შემდეგ ჯორჯ კობის

(გრიგოლ კობახიძე) მინის კომპანიაში დაამზადეს გამჭვირვალე მინის ფლაკონი, რომელიც, როგორც ენციკლოპედიური ცნობარი აღნიშნავდა: „მიჩნეულია მინის ფლაკონის ერთ-ერთ უმშვენიერეს ხელნაკეთნიმუშად“. იგი მზადდებოდა ნახევრად ავტომატური მეთოდით. ოქროთი მოვარაყება, ოქროსფერი ზარნიშისა და ზონრის დამზადება ძველებურად ხელით სრულდებოდა.

მალე გიორგიმ „მაჩაბლის გვირგვინები“ მთელ ამერიკას მოსდო. მისმა წარმოებამ წარმატებით გადალახა 1930-იანი წლების კრიზისი და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ფირმის პირველი მუშები მისი მეგობრები იყვნენ: ლტოლვილი არისტოკრატები, მათი ცოლები და ქალიშვილები, ამიტომ მთელ ამერიკაში მათ შეადგინეს ყველაზე დიდგვაროვანი, თავაზიანი და ზრდილობიანი მომსახურე პერსონალი.

ათ წელიწადში გიორგი მაჩაბელმა არა მარტო მილიონდოლარიანი ბიზნესი შექმნა უბრალო ჰობიდან, არამედ ნოვატორიც გახდა; ამერიკას საკუთარი საპარფიუმერიო მრეწველობა ჯერ კიდევ არ გააჩნდა. რაც მზადდებოდა, ძირითადად ფრანგული პროდუქციის ცუდი ასლები იყო და ისიც ძალიან ძვირი ჯდებოდა. ამიტომ საუკუნის დამდეგს მოდაში შემოვიდა უბრალო ყვავილებისა და თაიგულების არომატი, რომლებსაც მკერდზე იმაგრებდნენ. ასე რომ, გიორგიმ თავისი ჰობით შეავსო ის სიცარიელე, რაც იმ დროს არსებობდა ამერიკულ საპარფიუმერიო წარმოებაში.

ბიზნესს იგი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის არ ჩამოუშორებია. გიორგი იყო 1931 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, 1933-34 წლებში მისი თავმჯდომარე, 1934 წლიდან - ხაზინადარი. პუნქტუალურად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა სათვისტომოსაც და ყველა გაჭირვებულ ქართველსაც. „მთელ ქართულ ემიგრაციაში მარტო ერთი, გიორგი ქმნის დიდს ახალ საქმეს, რომელიც სწრაფად მიექანება მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილის დასაჭერად... ამ მიზნის მიღწევა გიორგის იმისთვის უნდა, რომ მეორე მიზნის (ქართული პოლიტიკის) სამსახურში მალე გადავიდეს, რომ კვლავ შეუდგეს საქართველოს თავისუფლების ახლად გამოჭედვის საქმეს თავის დაცდილ მეგობრებთან ერთად“, - წერდა სპირიდონ კედია.

1935 წლის ივნისისთვის დაგეგმილი ჰქონდა მე-5 ავენიუზე ახალი, ელეგანტური სადემონსტრაციო დარბაზის გახსნა. მიწვეული ჰყავდა საუკეთესო დეკორატორი, ბრიტანელი მხატვარი სესილ ბეტინი და ფოტოგრაფი პაველ ჩელიშჩევი, მაგრამ ვეღარ მოასწრო. 1935 წლის მარტში ფილიალების გასახსნელად კალიფორნიასა და შანხაიში იმოგზაურა. გზაში გაცივდა და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ უკვე წარმატებით მკურნალობდნენ პნევმონიას, ფილტვების ანთებით ერთ კვირაში გარდაიცვალა. ემიგრანტთა ნაწილი მის მოულოდნელ სიკვდილს საბჭოთა სპეცსამსახურებს უკავშირებდა, რაც საფუძველს მოკლებული არ იყო.

ფირმა Prince Matchabelli კონექტიკუტის შტატში დღესაც არსებობს, როგორც მსოფლიოს ცნობილი საპარფიუმერიო ფირმების ღირსეული კონკურენტი. პროდუქცია, რომელსაც იგი უშვებს, მისი დამფუძნებლის სახელითა და რეცეპტით გამოდის და, რაც მთავარია, საფირმო ნიშანიც იგივეა - გიორგი მაჩაბლის მიერ შექმნილი ემბლემა - ქართულჯვრიანი სამეფო ოქროს გვირგვინი, რომელიც თბილისში ახლახანს დაფუძნებული „გიორგი მაჩაბლის ფონდის'' ემბლემაცაა...

რუსუდან დაუშვილი
ისტორიულ-შემეცნებითი
ჟურნალი ''ისტორიანი“

„მხოლოდ ნიჭით გაკეთებული საქმე ილუზიაა"
ინტერვიუ გიორგი კეკელიძესთან

ის თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია, თუმცაღა წინ კიდევ დიდი დრო აქვს.

ის მუდამ ძიებაშია, უყვარს სიახლეების აღმოჩენა.

ის ახალი მიგნებებით შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში და ამბობს თავის სათქმელს.

ის ძალიან საინტერესო ადამიანია.

გიორგი კეკელიძე - 27 წლის, პოეტი, ესეისტი, ლიბ.გე-ს რედაქტორი

- ვინ ხარ შენ?
- გიორგი კეკელიძე - პოეტი

- როგორ დაიწყო სიყვარული პოეზიისადმი? როდის მიხვდი, რომ იგი შენში იყო და განვითარება სჭირდებოდა?
- თავიდან ყველაფერი ინტუიტიური იყო. რაღაც ეტაპზე ყველა ადამიანს ებადება სურვილი, საკუთარი თავი შემოქმედებაში გამოხატოს. ბუნებრივია სხვადასხვა ფორმით და განსაკუთრებით სკოლის წლებში. ფარულად თუ ღიად. მეც ერთი მათგანი ვიყავი. პროფესიული თვალსაზრისით ამ საქმეს უფრო სტუდენტობისას მოვეკიდე, რისთვისაც საკმაოდ ბევრი მუშაობა დამჭირდა და საერთოდ ვფიქრობ, მხოლოდ ნიჭით გაკეთებული საქმეები ილუზიაა.

- რამდენად ადვილი იყო ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ფეხის მოკიდება, სწორედ მაშინ როცა ეს სფერო გარდატეხას განიცდიდა?
- რთული იყო ერთის მხრივ, ტექნიკური თვალსზირისით იქიდან გამოდინარე, რომ პროვინციიდან ჩამოვედი. იმ წრეების გალღობას, რომლებიც ლიტერატურულ პოლიტიკას განსაზღვავრდნენ გარკვეული დრო დაჭირდა. მეორეს მხრივ, დავინახე ახალი ტენდეციები საკუთრივ ლიტერატურაში, დავიწყე განსხვავებული ფორმების მოსინჯვა.

- შენი პოეზია სიმბოლოებით არის დატვირთული, იგი დიდი ალბათობით ყველასთვის ვერგასაგები და ჩემი აზრით, საკმაოდ ინტელექტუალურია. ფიქრობ თუ არა იმაზე, რომ შეიძლება დროს ვერ გაუძლოს.
-ვფიქრობ ინტელექტუალიზმი, იმ დოზით, რა დოზითაც ჩემ ლექსებში იგრძნობა, საჭიროც კია. ეს უფრო ილუზიებით გამოიხატება, რაც, ალბათ, ემოციურ აღქმას ამძაფრებს მკითხველში. დროს გაუძლებს თუ არა ვერ გეტყვით, საკმაოდ პირობითი ამბავია, ამ დროში მონაწილე ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ.

- რა არის შენთვის, როგორც შემოქმედისთვის საჭირო და აუცილებელი?
- ემოცია და მუშაობისთვის საჭირო დრო.

- რას გაურბიხარ წერის დროს?
თემების გამეორებას - საკუთარი ლექსების გამეორებას, ანუ თუ ვატყობ, რომ წრეზე ვტრილებ, მირჩევნია ტაიმ-აუტი ავიღო.

- როცა წერ, რაზე ფიქრობ?
- საწყის ეტაპზე ეს დაგროვილი ემოციაა, მერე მკითხველზეც ვფიქრობ - შესაბამისად - სამკაულებზეც. ეს გარდაუვალი ამბავია.

- კრიტიკის მიმართ როგორი დამოკიდებულება გაქვს?
- ვფიქრობ კრიტიკა აუცილებელია. თუნდაც იმიტომ, რომ იგი რაღაც აზრით გაფხიზლებს, ფორმაში გამყოფებს. სამწუხაროდ, დღეს პროფესიული კრიტიკა ნაკლებად იწერება. ახალ თაობას ნაკლები მოტივაცია აქვს ამისთვის.

- შენი პირველი ლექსი?
- პირველ ლექსს მომაწერენ თითქოს 3 წლის ასაკში შემექნას ზეპირად, თუმცა მე თავს ვერ დავდებ რომ ჩემია:
,,ჭრიჭინა წვიმა მიყვარს,
ქარია და ქარი,
ბავშვებო არ გამოხვიდეთ,
არ გააღოთ კარი.“

- ფეხბურთის საოცარი თაყვანისმცემელიც ხარ
- ფეხბურთი მნიშვნელოვანია ჩემთვის. ეს რაღაც საკრალური თემაც კია, პოეზიას არ ჩამოუვარდება ამ მხრივ ჩემში. მანჩესტერის თამაშების ცქერა ჩემთვის ცალკე რიტუალია.

- რისი გეშინია ?
- ფიზიკური ტკივილი დისკომფორტს მაყენებს და ამის მეშინია კიდეც.

-შენი და შენი მეგობრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია ლიბ.გე. ვინ არიან ისინი და რა არის თქვენი მიზანი?
- ჩვენ ლიტერატურულ ჟურნალს გამოვცემდით სტუდენტობისას. შემდეგ შევხვდით და დავუმეგობრდით დიზაინიერებს და პროგრამისტებს. დავაარსეთ არამსათვარობო ორგანიზაცია მე, ზაალ ჩხეიძემ, ნიკა წიკალურმა და გიორგი კაციამ. ელექტონული ბიბლიოთეკა ლიბ.გე-ს მიზანია ქართულ ონლაინ სივრცეში შექმნას ელექტრონული ლიტერატურის ყველაზე ვრცელი და მრავალფეროვანი ბაზა, მხატვრული და სამეცნიერო ტექსტები, პუბლიცისტიკა, ლექსიკონები გახადოს მკითხველისთვის ადვილად და უფასოდ ხელმისაწვდომი. საიტის მიზანია ასევე ახალბედა ავტორებისთვის ხელშეწყობა მკითხველამდე მარტივად მიიტანონ საკუთარი შემოქმედება. ლიტერატურული და არტ-საღამოების ორგანიზება, რომელსაც ლიბ.გე უკანასკნელი 2 წელია აქტიურად ეწევა.

- რა მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს ლიბ.გე?
- 2010 წლიდან ლიბ.გე როკ-კლუბთან ერთად აწყობს ყოველკვირეულ არტ-საღამოებს, ლიტერატურის მუზეუმთან ერთად - ყოველთვიურ არტ-აქციებს და შეხვედრებს ავტორებთან. ამავე წლიდან ლიბ. გე-ს გაზეთ ,,რეზონანსის“ კვირის გამოცემა ,,გალაკტიონში“ ეთმობა საკუთარი გვერდი.
2011 წლიდან თანამშრომლობს ლიბ.გე სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და პროექტთან ,,იმედის გმირები“ – ,,აუდიოლიტერატურა უსინათლოებისთვის“, რომლის მიზანია ცნობილი და ახალბედა ავტორების შემოქმედების აუდიოჩანაწერებისგანთავსებალიბ.გე-ზე,რომელიც სპეციალურად გამარტივებული ტექნიკური საშუალებებით ადვილად ხელმისაწვდომია უსინათლოთათვის.

- შენი აზრით, რა არის ინტერნეტსივრცის და სოციალური ქსელების დადებითი და უარყოფითი მხარეები
- ინტერენტი საინტერესო ფენომენია. იქ ავტორს და მკითხველს ერთმანეთთან შეხვედრის უნიკალური საშუალება აქვთ. დადებითი მხარე ის არის, რომ გაცილებით დიდი დიაპაზონი აქვს ტექსტს, ხოლო უარყოფითი ის, რომ გრაფომანიამ იმატა.

- ახალი პროექტის ,,ერთიანი კავკასიური ბიბლიოთეკის“ შესახებ მომიყევი.
- ეს მნიშვნელოვანი პროექტია, როგორც კულტურული,ასევერეგიონალურითვალსაზრისით. ჩვენ შევქმნით კავკასიურენოვანი კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ბაზას. პროექტს კულტურის სამინისტო აფინანსებს. იქნება ასევე ბლოგების სისტემა, თვეში ერთ ბლოგს დაწერს სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს წარმომადგენელი ადგილობრივ მოვლენებზე. ეს ბლოგები ითარგმნება ინგლისურ და რუსულ ენებზე. შევეცდებით ამ მხრივ ჩრდილოკავკაისელი ხალხიც ჩავრთოთ. სამწუხაროდ აფხაზ და ოს ავტორებთან ხელი არ მიგვიწვდება.

- და ბოლოს, რა კითხვა დაებადა გიორგი კეკელიძეს ამ ინტერვიუს დაწერისას?
- ვფიქრობდი, რას ვუპასუხებდი ამ კითხვებს, გერმანელი რომ ვყოფილიყავი.

ესაუბრა
ლორეტა გოლეთიანი

ცხვრისცხვრ

შეკითხვები ხვეშვებს

1. რა ჰქვია ხელების წელზე შემოწყობას?
2. საქართველოს რომელ რაიონშია შორაპანი?
3. რომელ თვეში დგება ხეში წყალი?
4. რა ჰქვია ჯუჯა ცხენს?
5. რა ჰქვია ცარიელ ღრუს ხეში?
6. რა სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება ტყიბულში?
7. რისი სახეობაა კოლხური თეთრი?
8. რომელ მხარეს აქვს ადამიანს გული?
9. ჩამიჩის ნედლეული.
10. რომელი სიტყვაა ხვავის მეწყვილე?

ცვლვრგებლოთ რჩევები

დიეტოლოგები გვირჩევენ ქალებმა მეტი ისპანახი, ხოლო მამაკაცებმა მეტი ჭარხალი მიირთვან.

შავი ჩაი უმჯობესია შემოდგომასა და ზამთარში დალიოთ, მწვანე კი გაზაფხულსა და ზაფხულში.

ჭაღარის გავრცელების შეფერხება B ჯგუფის ვიტამინებს შეუძლიათ.

სიცილი გახდომაშიც დაგეხმარებათ.

ოდესმე თუ მოგვიდოდათ აზრად, რომ ვაშლის თლაც მარგებელი იყო? არადა ყოფილა. უახლესმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ვაშლის თლის პროცესი თავის ტვინზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს.

მეხსიერების გაუმჯობესების მიზნით რაციონი ხილით, ბოსტნეულით, თევზით უნდა გაიმდიდროთ, სასარგებლოა ზეითუნის ზეთი და C, E, B ვიტამინები. თუ მარწყვს, მოცვს და ისპანახს დიდი რაოდენობით მიიღებთ მდგომარეობის გაუმჯობესებას უთუოდ იგრძნობთ.

თუ ხველა არ გაძინებთ მოხარშეთ 2 ცალი კარტოფილი ან კვერცხი, შეახვიეთ ტილოში და დაიდეთ მკერდზე. სითბო დიდხანს რომ შენარჩუნდეს გადაიხვიეთ შალით და გაიჩერეთ გაგრილებამდე. ამ პროცედურის შემდეგ გულმკერდი თბილად გქონდეთ.

თ უ რ ბ ე ლ

მურა დათვის ახალდაბადებული ბელი 500 გრამს იწონის.

რწყილი დღე-ღამეში 400 კვერცხს დებს.

ბალტიის ზღვას, მასში ქარვის სიუხვის გამო, ძველად ქარვის ზღვა ერქვა.

ეკვადორზე მთვარე მუდმივად ჰორიზონტალურად, ნავისებურ მდგომარეობაშია.

ქალაქის გარემო იმდენად დაბინძურებულია, რომ თუკი კოსმონავტები ზღვაში მოცურავე გემების მოძრაობისას წარმოქმნილ ჭავლსაც კი ამჩნევენ, მათ ქალაქების ქუჩების გარჩევა არ შეუძლიათ. მიზეზი ერთია— მტვრის უზარმაზარი ღრუბლები.

ძველ საქსებს სწამდათ, რომ დაცემინებისას ადამიანი ნაწილობრივ კარგავდა თავის სულს, მაგრამ, თუ მაგრად დააცემინებდი შეიძლება სამუდამოდ გამოთხოვებოდი მას. ამიტომ, დღესაც კი, როცა ინგლისში ვინმე აცემინებს, ეუბნებიან — ,,ღმერთმა დაგიფაროს!"

ინდოეთის ერთ-ერთი ტომის ქალებს ორნაირი სასაუბრო ენა აქვთ: ქალებთან და კაცებთან. კაცებთან სასაუბრო ენა ყველასათვის გასაგებია, ერთმანეთთან კი, ყარაიბელი ქალები კაცებისათვის გაუგებარი სიტყვებით საუბრობენ.

ბრაზილიური ლურჯი ბაყაყი მასაატი წყალში საერთოდ არ შედის.

მოამზადა
ნინო ცხომელიძე-დეპერშმიდტმა

P.S. შეკითხვების პასუხები
1. დოინჯი; 2. იმერეთში; 3. თებერვალში; 4. პონი: 5. ფუღურო; 6. ქვანახშირი; 7. ქართული ფულის; 8. მარცხნივ 9. ყურძენი 10. ბარაქა

„მხოლოდ ნიჭით გაკეთებული საქმე ილუზიაა"
ინტერვიუ გიორგი კეკელიძესთან

ის თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია, თუმცაღა წინ კიდევ დიდი დრო აქვს.

ის მუდამ ძიებაშია, უყვარს სიახლეების აღმოჩენა.

ის ახალი მიგნებებით შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში და ამბობს თავის სათქმელს.

ის ძალიან საინტერესო ადამიანია.

გიორგი კეკელიძე - 27 წლის, პოეტი, ესეისტი, ლიბ.გე-ს რედაქტორი

- ვინ ხარ შენ?
- გიორგი კეკელიძე - პოეტი

- როგორ დაიწყო სიყვარული პოეზიისადმი? როდის მიხვდი, რომ იგი შენში იყო და განვითარება სჭირდებოდა?
- თავიდან ყველაფერი ინტუიტიური იყო. რაღაც ეტაპზე ყველა ადამიანს ებადება სურვილი, საკუთარი თავი შემოქმედებაში გამოხატოს. ბუნებრივია სხვადასხვა ფორმით და განსაკუთრებით სკოლის წლებში. ფარულად თუ ღიად. მეც ერთი მათგანი ვიყავი. პროფესიული თვალსაზრისით ამ საქმეს უფრო სტუდენტობისას მოვეკიდე, რისთვისაც საკმაოდ ბევრი მუშაობა დამჭირდა და საერთოდ ვფიქრობ, მხოლოდ ნიჭით გაკეთებული საქმეები ილუზიაა.

- რამდენად ადვილი იყო ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ფეხის მოკიდება, სწორედ მაშინ როცა ეს სფერო გარდატეხას განიცდიდა?
- რთული იყო ერთის მხრივ, ტექნიკური თვალსზირისით იქიდან გამოდინარე, რომ პროვინციიდან ჩამოვედი. იმ წრეების გალღობას, რომლებიც ლიტერატურულ პოლიტიკას განსაზღვავრდნენ გარკვეული დრო დაჭირდა. მეორეს მხრივ, დავინახე ახალი ტენდეციები საკუთრივ ლიტერატურაში, დავიწყე განსხვავებული ფორმების მოსინჯვა.

- შენი პოეზია სიმბოლოებით არის დატვირთული, იგი დიდი ალბათობით ყველასთვის ვერგასაგები და ჩემი აზრით, საკმაოდ ინტელექტუალურია. ფიქრობ თუ არა იმაზე, რომ შეიძლება დროს ვერ გაუძლოს.
-ვფიქრობ ინტელექტუალიზმი, იმ დოზით, რა დოზითაც ჩემ ლექსებში იგრძნობა, საჭიროც კია. ეს უფრო ილუზიებით გამოიხატება, რაც, ალბათ, ემოციურ აღქმას ამძაფრებს მკითხველში. დროს გაუძლებს თუ არა ვერ გეტყვით, საკმაოდ პირობითი ამბავია, ამ დროში მონაწილე ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ.

- რა არის შენთვის, როგორც შემოქმედისთვის საჭირო და აუცილებელი?
- ემოცია და მუშაობისთვის საჭირო დრო.

- რას გაურბიხარ წერის დროს?
თემების გამეორებას - საკუთარი ლექსების გამეორებას, ანუ თუ ვატყობ, რომ წრეზე ვტრილებ, მირჩევნია ტაიმ-აუტი ავიღო.

- როცა წერ, რაზე ფიქრობ?
- საწყის ეტაპზე ეს დაგროვილი ემოციაა, მერე მკითხველზეც ვფიქრობ - შესაბამისად - სამკაულებზეც. ეს გარდაუვალი ამბავია.

ცხვრისცხვრ

შეკითხვები ხვეშვებს

1. რა ჰქვია ხელების წელზე შემოწყობას?
2. საქართველოს რომელ რაიონშია შორაპანი?
3. რომელ თვეში დგება ხეში წყალი?
4. რა ჰქვია ჯუჯა ცხენს?
5. რა ჰქვია ცარიელ ღრუს ხეში?
6. რა სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება ტყიბულში?
7. რისი სახეობაა კოლხური თეთრი?
8. რომელ მხარეს აქვს ადამიანს გული?
9. ჩამიჩის ნედლეული.
10. რომელი სიტყვაა ხვავის მეწყვილე?

ცვლვრგებლოთ რჩევები

დიეტოლოგები გვირჩევენ ქალებმა მეტი ისპანახი, ხოლო მამაკაცებმა მეტი ჭარხალი მიირთვან.

შავი ჩაი უმჯობესია შემოდგომასა და ზამთარში დალიოთ, მწვანე კი გაზაფხულსა და ზაფხულში.

ჭაღარის გავრცელების შეფერხება B ჯგუფის ვიტამინებს შეუძლიათ.

სიცილი გახდომაშიც დაგეხმარებათ.

ოდესმე თუ მოგვიდოდათ აზრად, რომ ვაშლის თლაც მარგებელი იყო? არადა ყოფილა. უახლესმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ვაშლის თლის პროცესი თავის ტვინზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს.

მეხსიერების გაუმჯობესების მიზნით რაციონი ხილით, ბოსტნეულით, თევზით უნდა გაიმდიდროთ, სასარგებლოა ზეითუნის ზეთი და C, E, B ვიტამინები. თუ მარწყვს, მოცვს და ისპანახს დიდი რაოდენობით მიიღებთ მდგომარეობის გაუმჯობესებას უთუოდ იგრძნობთ.

თუ ხველა არ გაძინებთ მოხარშეთ 2 ცალი კარტოფილი ან კვერცხი, შეახვიეთ ტილოში და დაიდეთ მკერდზე. სითბო დიდხანს რომ შენარჩუნდეს გადაიხვიეთ შალით და გაიჩერეთ გაგრილებამდე. ამ პროცედურის შემდეგ გულმკერდი თბილად გქონდეთ.

თ უ რ ბ ე ლ

მურა დათვის ახალდაბადებული ბელი 500 გრამს იწონის.

რწყილი დღე-ღამეში 400 კვერცხს დებს.

ბალტიის ზღვას, მასში ქარვის სიუხვის გამო, ძველად ქარვის ზღვა ერქვა.

ეკვადორზე მთვარე მუდმივად ჰორიზონტალურად, ნავისებურ მდგომარეობაშია.

ქალაქის გარემო იმდენად დაბინძურებულია, რომ თუკი კოსმონავტები ზღვაში მოცურავე გემების მოძრაობისას წარმოქმნილ ჭავლსაც კი ამჩნევენ, მათ ქალაქების ქუჩების გარჩევა არ შეუძლიათ. მიზეზი ერთია— მტვრის უზარმაზარი ღრუბლები.

ძველ საქსებს სწამდათ, რომ დაცემინებისას ადამიანი ნაწილობრივ კარგავდა თავის სულს, მაგრამ, თუ მაგრად დააცემინებდი შეიძლება სამუდამოდ გამოთხოვებოდი მას. ამიტომ, დღესაც კი, როცა ინგლისში ვინმე აცემინებს, ეუბნებიან — ,,ღმერთმა დაგიფაროს!"

ინდოეთის ერთ-ერთი ტომის ქალებს ორნაირი სასაუბრო ენა აქვთ: ქალებთან და კაცებთან. კაცებთან სასაუბრო ენა ყველასათვის გასაგებია, ერთმანეთთან კი, ყარაიბელი ქალები კაცებისათვის გაუგებარი სიტყვებით საუბრობენ.

ბრაზილიური ლურჯი ბაყაყი მასაატი წყალში საერთოდ არ შედის.

მოამზადა
ნინო ცხომელიძე-დეპერშმიდტმა

P.S. შეკითხვების პასუხები
1. დოინჯი; 2. იმერეთში; 3. თებერვალში; 4. პონი: 5. ფუღურო; 6. ქვანახშირი; 7. ქართული ფულის; 8. მარცხნივ 9. ყურძენი 10. ბარაქა

ერთად დავცინოთ

საწვრთნელი სტომები პარაშუტით...
– წავიდა ერთი, მიჰყვა მეორე, მესამე, მოემზადოს მეოთხე... აბა, აბა! პარაშუტები ნუ გვაგიწყდებათ!

* * *

– დედიკო, ყველა მეუბნება ძალიან
დაბნეული ხარო.
– ბიჭი, დედაშენი გვერდზე სადარბაზოში
ცხოვრობს.

* * *

– დობორჯგინიძე, გამოეთრიე, მოუკვი
გაკვეთილი!
– მასწავლებელო ჯერ სია ამეიკითხე,
იქნებ არ ვარ კლასში!

* * *

სვანმა „ესემესი“ გაგზავნა: „არ
ინერვიულო, მობილური ჩემთან დაგრჩა“

* * *

აბა თუ იცი, ვერტმფრენს რად
უნდა ზემოდან იმხელა ბრობელერი?
– კი, როგორ არ ვიცი. ეგ უბერავს
ზემოდან, პილოტი რომ არ გაოფლიანდეს.
– არა, კაი, ნუ მაშაყირებ...
– რას გაშაყირებ?! იმ დღეს ვმგზავრობდით
ვერტმფრენით და ბოლოს, დაჯდომისას
უცბად გაჩერდა ეგ ბრობელერი
და უნდა გენახა ჩვენს პილოტს რა ოფლმა
დაასხა!

ორმა მთვრალმა ტაქსი გააჩერა:
– სამ კაცს აეროპორტში ვერ წაიყვან?
– მესამე სადაა?
– შენ რა, არ მიდიხარ?

* * *

ავადმყოფი მივიდა კბილის ექიმთან.
ექიმი უსინჯავს მტკივნეულ კბილს. პაციენტს ეუბნის:
– რა დიდი ფუღუროა! რა დიდი ფუღუროა!
– რატომ იმეორებთ ექიმო ერთი და იმავეს?
– მე არ ვიმეორებ, ეს ექოა...

* * *

სიმღერის მასწავლებელი შევიდა
კლასში და მოსწავლეებს ჰკითხა:
– სად არის, ბავშვებო, ჩემი სკამი?
– ხმას არავინ იღებს.
– კარგი, მაშინ ყველანი ფეხზე ადექით
და დღეს სახელმწიფო ჰიმნს ვისწავლით
მთელი გაკვეთილის მანძილზე.

* * *

მამაკაცი ლიფტით ჩამოდის პირველ
სართულამდე. გზაში იმეორებს:
– მერწყული, არა, კურო. თუმცა,
არა... მორიელი...
ჩამოვიდა პირველ სართულზე და
კვლავ მაღლა ავიდა. შეაღო ექიმის
კაბინეტის კარი და ეკითხება:
– ექიმო, რა მიწოდეთ წელან?
– კიბო, გენაცვალე, კიბო.

გერმანიის ქართული სათვისტომოს ყურნალი
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Zeitschrift des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

დამფუძნებელი-გამომცემელი:
გერმანიის ქართული სათვისტომო
სათვისტომოს თავმჯდომარე: ლერი დათაშვილი

სარედაქციო ჯგუფი:
ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეპპერშმიდტი
ეკატერინე ცირიკაშვილი

ISSN 1868-6591

რედაქციის მისამართი:

Georgischer Verein in
Deutschland e.V.
c/o Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de